ხუთშაბათი 1919 წ. თებერვლის 27 № 45

წელიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ. თებერვლის 27 № 45

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

მწუხარებით გულმოკლულნი ნადეჟდა და გერმან გოგიტიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ქ. ფოთში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, პირველის და მეორესი ცოლის და

**ნინა ჭოჭუას**

დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში, ხუთშაბათს 27 თებერვალს.
(3—2151—3)

ღრმად დამწუხრებულნი თეკლე და ნიკოლოზ დოლიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ რომ, ქ. ფოთში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, პირველისა და, და მეორესი ცოლის და

**ნინა ჭოჭუა**

დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში, ხუთშაბათს, 27 თებერვალს.
(3—2151—3)

მწუხარებით გულმოკლულნი ქმარი შალვა, დედა ანა ქადეიშვილისა, დედამთილი ოსანა და მამამთილი სამსონ, მაზლები: ნიკოლოზ და გიორგი, მულები: ბარბარე და ნინა ჭოჭუები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის საყვარელ

**ნინა ჭოჭუას**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში, ხუთშაბათს, 27 თებერვალს.
(3—2151—3)

გულ დამწვარნი მშობლები ქეთევან და იასონი, მეუღლე მარიამი და ძმები: მელიტონი, ვანო და გალაქტიონ ჯაფარიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 27 თებერვალს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ხაშურის კომისარიატში ვერაგულად მოკლულ

**ტრიფონ იასონის ძე ჯაფარიძის**

სულის მოსახსენებლად სოფ. სვერის იოანე ნათლისცემელის ეკკლესიაში.
2—2159—2

სევდით აღვსილნი ივლიტა (იტო) გიორგის ასული ჯალიაშვილისა, შვილები: მიხეილი მეუღლე ქეთევანით, ივანე, დიმიტრი და სხვ. ოთხი მცირეწლოვანნი; იოსებ მიხეილის ძე ჯალიაშვილი სახლობით; ანასტასია ტაბლიაშვილის ქვრივი შვილით და ზინობიერი მენთეშაშვილის ქვრივი აუწყებენ ნათესავთა, დ მეგობართა, რომ 24 ამა თებერვალს გარდაიცვალა დაუვიწყარი მეუღლე და მამა პირველთა, ძმა დანარჩენთა მცხეთის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი

**ალექსანდრე ჯალიაშვილი**

პანაშვიდი სალ. 5 ნახ. საათზე. (თამარის ქ. № 3). დაკრძალვა მოხდება კვირას 2 მარტს მცხეთის ტაძრის გალავანში.
2—2161—2

## ქ. თბილისის მცხოვრებთ

ქალაქის შავი სახადის ორ ლაზარეთის, არამიანცის და სამხედრო საფერშლო სკოლის მოსამსახურეთა მოთხოვნილება ქალაქის საბჭომ არ დააკმაყოფილა. დელეგაცია აცნობებს თბილისის მოქალაქეთ, რომ მათი დადგენილებით 25 თებერვალს, მოსამსახურენი იძულებულ არიან პარასკევს, 28 თებერვალს თავი დაანებონ აღნიშნულ ლაზარეთებს და ამიტომ მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას, რომ მხედველობაში მიიღონ ლაზარეთის საქმის მოწესრიგება.

1—2166—1 **დელეგაცია**

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 27 თებერვალს, ვანო სარაჯიშვილის ბენეფისი:

1.

**მარგალიტის მაძიებელნი**

2.

**თქმულება შოთა რუსთაველზე**

1 მარტს დილით კორშონის ბენეფისი „ნერონი". საღამოთი ზალიპსკის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები". კვირას, 2 მარტს დილით „ევგენი ონეგინი" საღამოთი „ლაკმე".

მოიკითხეთ ყველგან

**ღვინო**

**ჩაჩიბაიასი**

(ე—2087—6)

## ქართული კლუბი

პარასკევს, 1919 წ., თებერვლის 28-ს, საზოგადოება

**„განათლების" სასარგებლოდ**

გაიმართება **დიდი საღამო** გაიმართება

1. რუსულად: Ночь послѣ бала. ქ-ნ მელიქიშვილისა. ზამთარი, კისოლევსკაია, პ. წერეთელი და ტარსაიძე. 2. თეთრი ვაჰშამი, ანუ ორი პიერრო. ე. როსტანისა. 3. ცეკვა: ბუერზაკსის, ვაკარეც, ქ. ციციშვილი და პანფინოვი. 4. მუსიკალური განყოფილება ბ. ზალიპსკის, კოპელნიცკის, შულგინას, სარაჯიშვილის და ჩუბინაშვილის მონაწილეობით.

პროგრამის შემდეგ ბალი ღამის 3 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ა. ანდრონიკაშვილი. საღამოს დიასახლისები: ქ. ე. ალექსი-მესხიშვილისა და ელ. ჩოლოყაშვილისა.
2—1

**რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის**

## სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომნებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.
(12—1102—5)

## კინემო მინიონი

გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.

**დღეს ჩვენს ეკრანზე**

**რიმსკი — — კორსაკოვი**

მხატვრულ სურათებში

## სიკვდილის დუქანი

(КАБАЧЕКЪ СМЕРТИ)

(ვანდა)

დრამა 5 მოქ.

ხეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.

12—5

## გენერალ კვინიტაძის მოწოდება

ახალციხის ფრონტის მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძემ მოწოდებით მიმართა ახალციხის მაზრის მაჰმადიან მცხოვრებლებს. მოწოდებაში ახსნილია, თუ რა ზომებს მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის მტრებმა და როგორ შეეცადნენ ასკერების წყალობით დასცემოდნენ საქართველოს ჯარს ფოცხოვთან, რამაც გამოიწვია ჩვენი ჯარის დროებითი უკან დახევა. საქართველოს მთავრობა ვერ მოითმენს, რომ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში, რომელიც შეიცავს ახალციხის მაზრას, ბატონობდნენ გარეშე ძალები და ხალხს მოუწოდებდნენ ოსმალეთის ბატონობისკენ.

ევროპიელ სახელმწიფოთა დასტურით ქართველი ჯარი 5 დეკემბერს შევიდა ახალციხეში და იმავე სახელმწიფოთა სანქციით საქართველოს მთავრობამ მიბრძანა გავწმიდო ახალციხის მაზრა შემოსეულ მტრებისგან და აღვადგინო წესრიგი. შემდეგ გენერალი კვინიტაძე ურჩევს მშვიდობიან მცხოვრებლებს, ნუ დაიძრებიან ადგილებიდან, ნუ შეშინდებიან, რადგან მათ არავინ ერჩის. სასტიკად დაისჯება მხოლოდ ის, ვინც იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევს ქართველ ჯარს. გენერალი აფრთხილებს აგრეთვე მცხოვრებლებს ნუ დაუჯერებენ პროვოკატორებს, რომელნიც ხალხს ატყუებენ, თითქო საქართველოს მთავრობა მათ მიწას არომევდეს: მიწა ყოველთვის დარჩება ადგილობრივ მკვიდრთა ხელში და არავინ არ დაუშლის მათ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, როგორც თვითონ მოისურვებენ.

ჩვენ ვიყავით ძმები და დავრჩებით ძმებათ, მე უნდა ავასრულო ბრძანება საქართველოს მთავრობისა და ჯარი შევიყვანო ახალციხეში, გავამაგრო საზღვრები და ერთხელ და სამუდამოთ მოვსპო გარეშე ძალების თარეში. ბოლოს გენერალი კვინიტაძე აცხადებს, რომ მას მინდობილი აქვს სისხლის დაუღვრელათ მოაგვაროს საქმე, მაგრამ თუ წინააღმდეგობას ექნება ადგილი, მაშინ იარაღით არავის დაინდობს...

ახალციხის ფრონტზე ბევრი მოწოდება ყოფილა გამოშვებული, მაგრამ როგორც ვიცით იქ საქმე ჯერაც არ არის მოგვარებული, და ახალციხე ყუმბარებით გატენილი სარდაფია საქართველოს სახელმწიფოსთვის. ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ამ საკითხის ყურადღება, ახალციხის რაიონის გაწმენდაზე და მფლობელობაზეა დამოკიდებული საქართველოს რესპუბლიკის მომავალის ბედი. ჩვენ თავის დროზე გენერალი კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნის გამო ჩვენი სიხარული გამოვსთქვით რადგან გვჯეროდა, რომ მის პიროვნებას შეეძლო გავლენა მოეხდინა ამ დიდ საკითხის მოგვარებაში.

მის მოწოდებას მოყვება ალბათ ენერგიული მოქმედება: იმედი გვაქვს გენერალი კვინიტაძის ექსპედიცია უკანასკნელი იქნება ახალციხეში და შეასრულებს იმ დიდ საქმეს, რომელსაც ავალებს მას საქართველო და რესპუბლიკის მთავრობა...

## ზაქ. ფალიაშვილის იუბილე

25 თებერვალს საღამოს, მრავალრიცხოვანი საზოგადოებით გაჭედილ სახელმწიფო თეატრში ქართულ საზოგადოებამ გადიხადა „აბესალომ და ეთერის" ავტორის, ნიჭიერი კომპოზიტორის ზაქ. ფალიაშვილის 21 წლის მოღვაწეობის დღესასწაული.

დღესასწაული მით უფრო მეტს აღტაცებას იწვევდა, რომ კომპოზიტორის საიუბილეოდ მეორდებოდა მისი ახალი ოპერა, რომელიც შეიძლება მუდამ ისმინოთ იმ განცდით, რომელიც განუყრელია ყოველ დიდ ხელოვნურ ნაწარმოებთან.

ქართული მუსიკის გამარჯვება შეუერთდა მისი არტისტიულ დღესასწაულსაც და ეს გარემოება განსაკუთრებით ელფერს აძლევდა საზეიმო წარმოდგენას.

მეორე მოქმედების შემდეგ დაიწყო მილოცვები.

პირველად სახელმწიფო თეატრის სახელით მიესალმა იუბილიარს გულწრფელი სიტყვით ბ-ნი ალ. წუწუნავა.

მთელი თეატრის საერთო ტაშით ბ-ნ ფალიაშვილის წინაშე წარსდგნენ სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები, მცხოვანი აისბერგი და დღევანდელი რუსეთის ერთი უდიდესი კომპოზიტორთაგანის პროფ. ა. ჩერეპნინის მეთაურობით, რომელთაც აღნიშნეს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის კომპოზიტორს კონსერვატორიის წინაშე და მაღალი მხატვრული ღირსება მისი ოპერისა.

გულწრფელი და ნაზი იყო ჩუმი მილოცვა მოხუცი ვასო აბაშიძისა და შალვა დადიანისა ქართველ მსახიობთა კავშირის სახელით.

გაზეთ „საქართველოს" სარედაქციო კოლეგიის სახელით მიესალმა ლელი ჯაფარიძე, რომელმაც დაახლოებით შემდეგი უთხრა:

„არ შეუდგები თქვენ მრავალ სახიან მოღვაწეობის დახასიათებას — ამისათვის საკმაოდ მეტყველია ის აღტაცება, რომლითაც გვხდებათ დღეს ქართული საზოგადოება,—ამისთვის საკმაოდ მეტყველია ერთსულოვანი დაფასება თქვენი ოპერისა ქართული პრესის მიერ.

უნდა განვაცხადო, რომ თქვენი დღესასწაული, არის გამარჯვება ქართული ხელოვნებისა.

თუ დღემდე ჩვენ ქართველები, უსათუოდ ამაყნი ქართული ხელოვნებით და, განსაკუთრებით ქართული პოეზიით, ვერ ვხედავდით თამამად გველაპარაკა ქართულ ოპერის შესახებ, დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ოპერას არ უჭირავს უკანასკნელი ადგილი სხვა, უფრო დაწინაურებულ ერებთან შედარებითაც.

ამის მიზეზი ბრძანდებით, თქვენ ბ-ნო ზაქარია და ის ორი კომპოზიტორი, რომელთაგან ერთის—ბ-ნ დ. არაყიშვილის დღესასწაული რამოდენიმე დღის წინეთ გადვიხადეთ, ხოლო მეორე—მხცოვანი მელიტონ ბალანჩივაძე მას უნდა ელოდეს ახლო მომავალში.

მე ვისურვებ, რომ მოღვაწეობა ამ სამებისა, ყოფილიყოს განათლებული იმ შემოქმედებითი ბედნიერებით, რომელიც თანდაყოლილი აქვს თქვენს ბუნებას.

დღეგრძელობა თქვენ, გამარჯვება ქართულ ხელოვნებას.

იუბილარს მიესალმენ აგრეთვე კონსერვატორიის მოწაფენი, ქართული სამუსიკო სასწავლებელი, ქალთა მე-7 გიმნაზია და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორი.

მეოთხე მოქმედების შემდეგ, მთავრობის სახელით იუბილარს მიესალმა სახ. თეატრის კომისარი ბ-ნი წუწუნავა და განუცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით, ნიშნად თვალსაჩინო ღვაწლისა ქართული მუსიკის წინაშე, კომპოზიტორი დაჯილდოვებულია უმაღლესი ეროვნული ნიშნით; ამასთანავე, მთავრობის დადგენილებით, მას და მეორე კომპოზიტორს დ. არაყიშვილს სახელმწიფო ხაზინიდან მიეცემათ თითოს ათი ათასი მანეთი.

დამსწრე საზოგადოება კიდევ დიდხანს ულოცავდა იუბილარს დაუსრულებელი ტაშით.

## პრესსა

**საქართველოსა და სომხეთის დაახლოება.**

საქართველოსა და სომხეთის დაახლოების შესახებ სომხური გაზეთი „ჟოღოვურდი ძაინი" სხვათა შორის სწერს:

„ამიერ-კავკასიელ ერების ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სომხურ-ქართულ ურთიერთობას. სომხეთისა და საქართველოს ანტაგონიზმის მიზეზი იყო ერთი მხრით ბრძოლა სომხის ბურჟუაზიისა და ქართველ თავად-აზნაურობისა, მეორე მხრით ის გარემოება, რომ ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიაში სათანადოთ გადაჭრილი არ არის. თუ ახლა ამიერ-კავკასიაში ეროვნული საკითხი გადასწყდება ურთიერთ დათმობის საშუალებით, ეთნოგრაფიულ პრინციპის მიხედვით, და ქართველებისა და სომხების მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი ერთეულები ცნობილნი იქნებიან ევროპის მიერ, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება ახალი გზით წავა, სომხების პოლიტიკური ცენტრი თვით სომხეთში გადავა, სომხის ხალხი პირს იბრუნებს სამხრეთისაკენ და ქართულ-სომხური ქიშპობა თანდათან განელდება.

მეგობრული დამოკიდებულება სომხეთსა და საქართველოს შორის შესაძლებელია, განსაკუთრებით მიტომ, რომ ამ ორს ქვეყანას საერთო ისტორიული წარსული აქვს და კულტურული და ეკონომიური ინტერესებით არიან შეკავშირებული.

ამ თვალსაზრისით სომხურ-ქართული ომი არა ნორმალური მოვლენა იყო, რომელიც ორივე ქვეყნის შოვინისტური ელემენტების ბეცმა პოლიტიკამ გამოიწვია, თვით ხალხის მასსაში კი თანაგრძნობა არ უპოვია... და ახლა თვით ორივე ერის შოვინისტური ჯგუფები დარწმუნდნენ, რომ ეს შეტაკება დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო და სომხურ-ქართული სოლიდარობის დამყარება მომენტის გარდაუვალი მოთხოვნილებაა. ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ თვით სომხების მოძულე გაზეთი „საქართველო" საჭიროთ სთვლის საქართველოსა და სომხეთის დაახლოვებას, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, რომელიც ორივე ქვეყანას ოსმალეთისაგან მოელის...

თუ სომხის ხალხისთვის აუცილებელ საჭიროა, რომ თავისუფალი საქართველო არსებობდეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველებიც საჭიროთ სთვლიან თავისუფალ სომხეთის არსებობას. ამისთვის კი აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობა თანაგრძნობით შეხვდეს ეკონომიურ-ფინანსიურ ხასიათის ზომებს, რომელთა მიზანია სომხის ხალხის ფიზიკურ არსებობის უზრუნველყოფა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ სომხურ-ქართული სოლიდარობა ადვილად განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ პირობებში. გვწამს, რომ ამის შემდეგ ორი მოძმე ხალხი შეიგნებს საერთო ინტერესებს და ისტორიის არქივს გადასცემს პირველ და უკანასკნელ სომხურ-ქართულ ომს".

სომხური გაზეთის მიერ გამოთქმულ შეხედულებებში ბევრი საღი მოსაზრებაა. მაგრამ საერთოდ საკითხი მაინც ალმაცერათაა გაშუქებული. მართალი არ არის ის აზრი, თითქო სომხეთისა და საქართველოს ანტაგონიზმის მთავარ მიზეზს კლასთა ბრძოლა წარმოადგენდეს: ამ ანტიგონიზმს უმთავრესათ ჩვენი მეზობლების გადაჭარბებული ტერიტორიული პრეტენზიები და უტოპიური იდეალები ასაზრდოებენ. თვით სომხეთ-საქართველოს უკანასკნელი ომი, შესაძლებელია, დასაძრახისი მოვლენა იყო ჰუმანიური თვალსაზრისით; მაგრამ ამ ომმა სომხებს მართლაც პირი აბრუნებია სამხრეთისაკენ და შესაძლებლათ გახადა ორ მეზობელ ერის შეთანხმებაზე ლაპარაკი: წინათ სომხის პოლიტიკური ხელმძღვანელები თავისად სთვლიდნენ არა მარტო ლორს, არამედ მთელ ბორჩალოს მაზრას და თვით თბილისსაც. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ველზე ანგარიშების გასწორებამ ერთგვარი კეთილისმყოფელი შედეგებიც გამოიწვია, თუმცა, შესაძლებელია, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ანგარიშის გასწორება მშვიდობიანი გზით მომხდარიყო.

## უკანასკნელი ცნობები

გუშინ საგანგებო რაზმმა თბილისში შეიპყრო ბოლშევიკების რამდენიმე მეთაური.

ფრონტის სარდალმა დესპერემ გერმანელი გენერალი ფონ-სანდერსი სამართალში მისცა სირიელთა და სომხების ამოჟლეტის გამო.

მიუნხენში სასტიკი სამოქალაქო ომი სწარმოებს. სავაჭროები გაძარცულია, ქუჩებში განუწყვეტელი სროლაა.

კლემანსოს მდგომარეობა სერიოზულია.

ოფიციალურ ცნობებით, ოსმალეთს ომში ერთი მილიონი კაცი დაუკარგავს.

რაც შეეხება ჩვენი გაზეთის დახასიათებას, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ ვართ არც არმიანოფილები და არც არმიანოფობები: ჩვენ რეალისტურ პოლიტიკას ვაწარმოებთ და ამა თუ იმ მეზობელს ვებრძვით ან ვუთანხმდებით ქართველ ხალხის რეალურ ინტერესებისა და მოთხოვნილების მიხედვით.

## გენ. დენიკინი და ბოლშევიკები

(ინგლისის მისიის ცნობა)

მიღებულ ცნობებით ოსები და ინგუშები შეუერთდენ დენიკინის ჯარს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. გენერალ დენიკინმა ბრონსკამდე (კასპიის ზღვასთან) მიაღწია და ბოლშევიკური ლაშქარი დაამარცხა.

## დღეს, სახელმწიფო თეატრში ვანო სარაჯიშვილის ბენეფისია.

## ქრონიკა

ჩვენი გაზეთის საკვირაო (2 მარტი) ფელეტონში ფაიბეჭდება ლექსები: შალვა ამირეჯიბისა, პაოლო იაშვილისა, გრიგოლ რობაქიძისა, ტიციან ტაბიძისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა, ელი ჯაფარიძისა და გ. ლეონიძის (ტეოფილ გოტიე) „ვენეციური კარნავალი“.

**ფინანსთა მინისტრის გამგზავრება.** დღეს ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული და კანცელიარიის დირექტორი აფხაზი ადერბეიჯანის მთავრობასთან სხვადასხვა ეკონომიურ საკითხების მოსაგვარებლად ბაქოში მიემგზავრებიან.

**ანარქია დუშეთის მაზრაში.** შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსული ცნობებით დუშეთის მაზრაში ამჟამად დიდი ანარქიაა, რაც ქურდობაში, ძარცვა-გლეჯაში, ავაზაკობასა და მკვლელობაში გამოიხატება. ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ იღებს და არ ცდილობს ებრძოლოს ზემო აღნიშნულ ბოროტებას. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ფრიად უვარგისია.

**შემოწირულება.** მოწაფე ბაკურაძემ ჩვენს რედაქციას თიონეთის ეკლესიაში შეგროვილი 30 მანეთი მეომართა სასარგებლოდ გადმოსცა.

**ბოლშევიკების მეთაურთა დაპატიმრება.** თბილისში საგანგებო რაზმმა ამ დღეებში ბოლშევიკების შემდეგი მეთაურები დააპატიმრა: ქირიმოვი, ბახტაძე, აგნიევი, ცინცაძე და სხვანი.

**მახარაძის და გეგეჭკორის კავკავიდან გაქცევა.** კავკავიდან მიღებულ ცნობებით ბოლშევიკების სხვა მეთაურებთან ერთად ფ. მახარაძე და ს. გეგეჭკორიც კავკავიდან გაქცეულან.

**რუქა საქართველოს მომავალ რკინის გზებისა.** გზათა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა რუქა საქართველოს აწინდელ რკინის გზათა და აწინდელ გადასაკეთებელ და პირველ რიგში ახლად ასაშენებელ რკინის გზებისა.

**ბოლშევიკები როსტოვში.** კავკავიდან მიღებულ ცნობებით ბოლშევიკებს როსტოვი აუღიათ და ეკატერინოდარისაკენ მიიწევენ.

**ს. ქავთარაძის დაპატიმრება.** თბილისის გენერალ-გუბერნატორის ცნობით დაიჭირეს და საგუბერნიო ციხეში მე-2 ნომერ ციხეში მოათავსეს ბოლშევიკების ერთ-ერთი გამოჩენილ ხელმძღვანელთაგანი.

**თანამდებობაზე დანიშვნა.** ქალთა მე-6 გიმნაზიის დირექტორად გ. ლორთქიფანიძე დაინიშნა.

**ვანის გიმნაზია.** ვანის 4 კლასიანი ახალციხის სასწავლებელი და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები განათლების სამინისტროს განკარგულებით ერთ სასწავლებლად შეაერთეს. ამ სასწავლებელს ეწოდა ვანის 8 კლასიანი სრულ უფლებიან კერძო ქალ-ვაჟთა გიმნაზია.

**ქურდობა.** 25 თებერვალს ღამით ფარცხალაძის ბინიდან (კირკის ქ. № 49) ბოროტგამზრახველებმა 3422 მ. ფულად და სხვადასხვა ნივთები მოიპარეს.

— 25 თებერვალს ღამით პოლ. გლაგოლევის ბინიდან (საპიორის ქ. № 34) პოლკოვნიკის შინ არ ყოფნის დროს 15,000 მ. ფულად და სხ. და სხ. ნივთები მოიპარეს.

**მოკლულთა გვამები.** 25 თებერვალს ღამით მილიციონერებმა ნავთლუღის სადგურთან ორი მოკლულის გვამი აღმოაჩინეს. ამავე დღეს მილიციონერებმა როზოვის მოედანზე 2 მოკლულის გვამი აღმოაჩინეს. მოკლულთა ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

„თანახმად დადებულის კონვენციისა მომავალ მარტის პირველიდან დაწესებულ იქნება ფოსტა-ტელეგრაფის ფორმალური ურთიერთობა საქართველოსა, ადერბეიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის“.

**ქართული სამუსიკო საზოგადოება.** კვირას, 2 მარტს, დილის 12 საათზე გაიმართება მოწაფეთა კონცერტი ქართულ სამუსიკო სკოლისა. მეტად საყურადღებო და სასარგებლო დილა იმართება.

**სასურსათო საბჭოში.** 24 თებერვალს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საჩქარო სხდომაზე დაადგინეს: მიეცეს წინადადება საბჭოს საორგანიზაციო კომისიას გააგრძელოს მუშაობა. აირჩიეს დელეგაცია, რომელიც უნდა წარუდგეს მთავრობას და გამოარკვიოს თუ როგორ უყურებს მთავრობა ამ დაწესებულებას.

**დაშავება.** 24 თებერვალს დღის 1 საათზე ელისაბედის ქუჩის შესახვევში საბარგო ავტომობილი ექვსი წლის ბავშვს დაეჯახა და საგრძნობლად დააშავა.

**მოკლულის გვამი.** 25 თებერვალს დილით ჩუღურეთის ქუჩაზე მილიციონერებმა ს. ივანიშვილის გვამი აღმოაჩინეს.

**გენერალ-გუბერნატორის დადგენილება.** თბილისის გენერალ-გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალითაც საბარგო და სამგზავრო ავტომობილების პატრონნი ვალდებული არიან წარმოადგინონ თავიანთი მანქანები თბილისის მილიციის სამმართველოში სარეგისტრაციოთ. ღამე ავტომობილებს უკან განმასხვავებელი ფარნები უნდა ჰქონდეს.

**ახალი გაზეთი.** შაბათს, 1 მარტს გამოვა უპარტიო გაზეთ „მილიციის“ პირველი ნომერი. გაზეთის მიზანია მილიციის კულტურულად ამაღლება და ეკონომიურად უზრუნველყოფა. გაზეთში მონაწილეობენ დამსახურებული ჟურნალისტები. სარედაქციო კოლეგიის რომელიმე წევრის ნახვა შეიძლება მე-8 სამილიციო კომისარიატში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

## სამხატვრო ქრონიკა.

**საღამო „იმედში“.** შაბათს 1 მარტს სასადილო „იმედში“ გაიმართება მორიგი ინტიმიური საღამო პოეტების. საღამოზე მოწვეული არიან თბილისის ცნობილი არტისტები და პოეტები. იქნება ნიღაბების კარნავალი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება „იმედში“. საღამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე.

— **ვანო სარაჯიშვილის ბენეფისი.** დღეს, ხუთშაბათს 27 თებერვალს, ქართველ საზოგადოების საყვარელი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, სახელმწიფო თეატრში, თავის არტისტიულ დღესასწაულს იხდის. მისი ბენეფისისათვის დადგმულ იქნება ი. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზედ“, რომელშიც ბენეფიციანტი რუსთაველის პარტიას მღერის და დადგმული იქნება სარაჯიშვილის საყვარელი ოპერა „მარგალიტის მაძიებელნი“ სადაც იგი ნადირას პარტიას მღერის. ვანო სარაჯიშვილი ამ პარტიის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.

## პროვინციის ცხოვრება

### ბორჯომი.

ბორჯომში თავს იყრიან ლტოლვილები. მთავრობის წარმომადგენელს ლტოლვილთა საკითხის შესახებ საშუალება არა აქვს მათი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. მოსალოდნელია ეპიდემიის გაჩენა.

## ქართველ ოფიცერთა უწესოება ქართ. კლუბში

24 თებერვალს, ქართულ კლუბში შესდგა კლუბის წევრთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა კლუბის მამასახლისის მოხსენება, წარსულ დღეებში კლუბში ქართველ ოფიცერთა მიერ ჩადენილ უწესოების შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კლუბში მიდიან მთვრალი ქართველი ოფიცრები და უწესოდ იქცევიან. ხშირად ჩხუბსაც ჰმართავენ. კლუბის გამგეობას საშუალება არ მოეძებნება ინციდენტების მოსაგვარებლად, რადგანაც მოჩხუბარ ოფიცრებზე სიტყვა არ მოქმედებს, და შეიარაღებული ძალა კი გამგეობას არა ჰყავს. კრებამ მოისმინა მოხსენება და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „კრება მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ქართველი ოფიცრები კლუბში ასე უწესოდ იქცევიან და დაადგინა—იყოლიონ კლუბის შესავალ კარებში შეიარაღებული ძალა, რომელიც იქ მისვლელ სამხედრო პირებს, სამხედრო უწყების ბრძანების თანახმად იარაღს აჰყრიან“.

## ნავთის გადმოქაჩვის შეწყვეტა

ადერბეიჯანის მთავრობამ გზათა სამინისტროს აცნობა, რომ სანამ ნავთისა და მაზუთის ფასი მილიონ ნახევარი გადახდილი არ იქნება სანამ ბაქოდან საქართველოში ნავთის გადმოქაჩვა შეწყვეტილი იქნება. ამის გამო გზათა მინისტრის მოადგილემ შემდეგი ტელეფონოგრამი გაუგზავნა გარეშე საქმეთა მინისტრს: „არც ადერბეიჯანისა და არც ინგლისის მისიას დღემდე ანგარიში არ წარმოუდგენია ჩვენ მიერ რკინის გზებისათვის წამოღებულ ნავთზე და რასაკვირველია, ანგარიშის გასწორებაც არ მოგვიხდენია. საქართველოს რკინის გზის გამგეობის შეკითხვაზე თუ რატომ შესწყვიტეს ნავთის გადმოქაჩვა, ადერბეჯანის ნავთსადენის უფროსმა გვაცნობა რომ ეს საკითხი ამ დღეებში მოწესრიგებული იქნება ინგლისის მისიასთან ერთად და ნავთის გადმოქაჩვაც დაიწყებაო.

როცა მივიღებთ ინგლისის მისიისაგან ანგარიშს წამოღებულ ნავთის რაოდენობის შესახებ. ანგარიშსაც გავასწორებთ“.

## გზათა სამინისტროს 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა

გზათა სამინისტროს მოადგილემ მთავრობას სამინისტროს 1919 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისათვის ცნობა წარუდგინა თანახმად ამ ხარჯთ-აღრიცხვისა 1) სამინისტროს მოხელეთა შესანახად ნავარაუდევია 16,800 მ. 2) კანცელარიის, ბუღალტერიისა და საიურისკონსულტო ნაწილის მოხელეთათვის—223,800 მანეთი და სააღმშენებლო სამართველოსათვის—101,400 მ.

სულ 342,000 მ., ძველი შტატით კი 319,200 მ.

ამ ძველ შტატს ჯამს ემატება გასაუქმებელ დაწესებულებათა ხარჯებში 169,200 მ. ასე რომ ძველი შტატის საერთო ჯამი 488,400 მან. უდრის.

## ოქრო-ვერცხლი საქართველოში

შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს ქუთ. გუბერნიის კომისარს, რათა სახელმწიფოს ოქროს ფონდის დაარსება მკვიდრ ნიადაგზე დადგეს. ფინანსთა სამინისტროს სახეში აქვს, რომ ყველა აქამდის სხვა და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაგროვილი ოქრო-ვერცხლი აღირიცხოს და შესაბამად დაუყოვნებლივ გადაეცეს ხელ-წერილ ქვეშ სახელმწიფო ხაზინას. ამისთვის ყველა შეგროვილი თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიაში ოქრო-ვერცხლი დაუყოვნებლივ გადაცემულ იქმნას ზემო ნაჩვენები წესით, ადგილობრივ საგუბერნიო ხაზინაზე და ამის შესახებ განკარგულების შედეგი აცნობოთ ფინანსთა სამინისტროს.

ფინანსთა [illegible] სამინისტრო ატყობინებს ქუთაის. გუბერნიის კომისარს, რომ ადერბეიჯანის და სპარსეთის ქვეშევრდომნი საქართველოს ტერიტორიაზე ყიდულობენ ოქროს და ვერცხლის ფულებს იმ მიზნით, რომ გაიტანონ საზღვარგარედ და იქ შეიძინონ საქართველოს რესპუბლიკის ბონები მცირე ფასებში. ამ ნიადაგზე ეწევიან სპეკულიაციას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს საბაჟოების მოხელეებმა და რამოდენიმე ათასი მანეთი ოქროსი და ვერცხლის ფულები დაიჭირეს საზღვარ-გარეთ გატანის დროს. გაცნობებთ რა აღნიშნულ გარემოებას, გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება. ამის შესახებ გუბერნიის კომისარ კ. სულაქველიძემ დაუგზავნა მოწერილობა მაზრის კომისრებს და მილიციის უფროსებს, რომ თვალყური ადევნონ, რათა აკრძალული იქნეს ოქროსი და ვერცხლის ფულების ყიდვა და მისი საზღვარ-გარედ გატანა.

## მომღერლების პატივისცემა

ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, მომღერლები დიდს პატივსა და დიდებაში იმყოფებოდნენ: ხალხი მათ თითქმის აღმერთებდა, მძლეთა-მძლე მეფეების სასახლეებში იგინი შინაურ კაცებად ითვლებოდნენ, სცხოვრობდნენ, ვითა გვირგვინოსანნი და სიკვდილის შემდეგ იმისთანა ზეიმით ჰკრძალავდნენ, როგორადაც ეგვიპტეში ფარაონებს. იკითხავთ: რათა? რათა და იმიტომ, რომ ხალხი სიმღერას ღვთიურ საქმიანობად სთვლიდა, „იგი საამქვეყნო არაა, ციით მოვლინებულიაო“. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, დაუგდოთ ყური ისტორიას: „ინდოეთში, მეფე აკბერის დროს, გამოჩენილი მომღერალი ნაიკ-გობაული სიმღერაში ეშხით დაიწვა, თუმცა იგი ყელამდის წყალში იდგაო“—ამბობს გადმოცემა.

ინდოელების აზრით, მშვენიერს სიმღერას, ჰანგს შეუძლიან ღრუბლებიდგან წვიმა და ქუხილი გამოიწვიოს, შეუძლიან მზის შუქი დააბნელოს. იმავე აკბერის მეფობის დროს, ვკითხულობთ ისტორიაში—„გამოჩენილმა და ხალხის საყვარელმა მომღერალმა მია-ტუ-ზანმა თავის ღვთიურის სიმღერით, მზე დააბნელა და მბრძანებლის სასახლე იქამდის იდგა სიბნელით მოცული, სანამ ძლიერი და მომჯადოებელი რაყიფის ხმა გაისმოდა მომღერლისაო“. მაგრამ ეს რაა შედარებით ეგვიპტელების თაყვანისცემასთან მომღერლებისადმი! აქ მომღერლებს მეფეების ბრძანებით უდიდეს ძეგლებს უშენებდნენ; აი, ერთ-ერთ ძეგლში დაცარხულ მომღერლის სასაფლაოზედ სწერია: „უმაღლესი მომღერალი, მშვენიერის სიმღერით სულისა და გულის დამატკბობელი

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

9.

კარგ გუნებაზე დამდგარიყო ემირი აგარიანთა გამარჯვების შემდეგ. ტკბილს ნაყოფს ის სთვლიდა თვისის სვესვიანობისას. ქართველთა სადევნელად რომ სწრაფი მახვილი წაემძღვარებინა, ხმალი მოელვარე ფალავნის ხელში, თითონ ნებივრად მიდიოდა წინ. სტკბებოდა დამორჩილებული ქვეყანის ტანჯვით, თბებოდა მახვილხაგძირთა სისხლის ოშხივარში; თანისთანობითა ჟღენთავდა წმიდა მიწაწყალს გესლით თვისის მზვარდაუსობელის მეუფობისა, რკინის უღელს ადგამდა ქედმაღალ ქართველთ აწ დამადებლებთ. განცხრებოდა; საგანგებო სიტკბოება, რჩეულ ყვავილთა სუნნელება მისგან დათრგუნული ედემის კუთხისა; წუთსა და წუთის უკეთესის მოლოდინი; უშვენიერეს ნუგბართა ხმევა, პატივმოყვარეობისა და თუ გემოვნების მტკობ შაქარ-ყანდისა; ხოლო სულ ბოლოს, ზეიმის დასასრულს, ვით გვირგვინი მოელვარე დიდის-დიდების თვით აშოტი მის წინ ხელკრული და მისი ოჯახი ფერხთ-ქვეშ განრთხმული, მის ფერხთა მტვრად დაფენილი მეფის სახლობა.

— დიდი აშოტი! ესეც შენი დიდებული მეფე ქართველთა... შეგვავიწროვა, მთელი საქართველო ხელ-ახლად დაიპყრო, სულ განაქარვა ნაღვანი მურვანისა თუ ქიჭუმისაო, იწერებოდა უბადრუკი ალი შუბის ძე... თბილისში მურვან ემირის მოადგილე, ქიქუმის მემკვიდრე და ლაჩრობა უმაგალითო?!

— ის ვიღაც ალი შუბის ძე არის მთლად უნიჭო ყოფილა და ჩუკენი. მე კი ისე წარმომიდგინეს, ვით ბუმბერაზი ვაჟკაცი ჰაზრის მექონი. გავგზავნე საქართველოში, რჩეული ლაშქარი გავატანე... ჩვენ დასამცირებლად წარმიგზავნია იქ... მომგვარეთ მკვდარი თუ ცოცხალი! ბრძანა ფადიშაჰმა.

— ხასან! გიცნობ: გიბრძოლია ჩემს გვეროზედ. წა საქართველოში. მოახრევინე ქედი უდრეკი იმ ტყის კაცებს, შუშის თაყვანისმცემლებს. ხმლით აუხილე თვალნი დამწუხულნი, იხილონ ნათელი და ადიდონ ღმერთი უხილავი, წინასწარმეტყველიც ყოვლად ძლიერისა მაჰმადი მხოლო! მომმართა მე ხალიფმა

და გასცა ბრძანება:

— ხასან იზიდის ძე მარჯვენა ხელია ჩემი შორეულ საქართველოში. აუსრულდეს მას ყოველივე სურვილი ჩემის ბრძანების შესასრულებლად!

— ბედნიერი ვიყავი მაშინ. ბევრის გული განირღვა მაშინ შურით აღსავსე. უბედნიერესი ვარ ეხლა, როცა მთლად გავამართლე ნდობა ცათასწორისა: გავუგზავნე ალი შუბის ძე შებორკილებული; ახლა მივართმევ ზღვნად თვით აშოტს ხელშეკრულს, მთელს მის ოჯახს სამეუფოს... განმადიდებს, პირველ კაცად დამსახავს, ვფიცავ წვერს მაჰმადისას!

ესე ოცნებობდა გამარჯვებული ემირი თავის კარავში მხარ-თეძოზედ წამოწოლილი, თვის წითელ-კარავში, რომელი საარაკო ყაყაჩოსავით მოსჩანდა ალგეთის ზევით, ტაძრის მახლობლად. კარვის კარი ღია იყო. შეიარაღებულნი მცველნი თავს უდგნენ. მისი ჯარი ქვევით იყო დაბანაკებული, ალგეთის პირას. ტყვე და ნადავლი კარვისა და ბანაკის შუა ეყარა.

— მაგრამ... სად არის მანგლელი? რატომ არ მოჰყავთ აქამომდისინ? ალბათ ივლტოდა ისიც წინაშე ჩემსა. ამბობენ კი, ქართველნი თუნდ ჯვარს ეცმევიანო რჯულის გულისთვის.

— აგერ მოჰყავთ, მძლეთა მძლეევლო, მღვდლების მოთავე მანგლელი. მდინარის პირას ციხეა გვირაბიანი, იმის გვერდითა ვპოვეთ საყდარში, მოახსენა გაგზავნილმა.

და უკუდგა. მიიყვანეს ტიმოთე ეპისკოპოზი, უბრალოდ ჩაცმულ-დახურული, ძაძით მოსილი. სათნო სახე ჰქონდა შუბლ გადაშლილი. დაწყნარებული იდგა ბრძანებელის წინ. ხასანი ელოდდა გარეგანის დიდებით მოსილ ადამიანს, დიდკაცურად მორთულს მედიდურს და როცა მის წინ წარსდგა უბრალო მწირი, გაჰკვირდა; ეჭვი დაიბადა მის ვინაობაში.

— შენა ხარ მღვდელთა თავი მანგლელი? უბრძანა ხასანმა.

და აათვალიერ—ჩაათვალიერა ბერი.

— თუ ეგეთი გლახაკი ხარ მღვდელთ მთავარი, მთლად საწყალობელნი იქმნებიან უბრალო მღვდლები.

— ღმერთი—იესო გლახაკად მოევლინა ტანჯულ ქვეყანას.

— ღმერთი გლახაკად?! საკვირველი შეთხზვა სიტყვათა! წარმოსთქვა ემირმა.

და მიმართა:

— თუ მართლა შენა ხარ მღვდელთა თავადი, ყველაფერი გეცოდინება. მითხარ: ეს გვირაბი, აი აქ რომ ჩანს, წყაროსთან, საით მიიმართება? აქ დამალეთ თქვენ საყდრების განძეულობა?

სდუმდა ტიმოთე.

— გესმის? ხომ იცი ყოველივე?

— ვიცი!

სთქვი!

კვლავ სდუმდა მღვდელთმთავარი.

— ვუბრძანებ, თავს წარგკვეთონ!

— უფალი—მაცხოვარი ჯვარზედ აღესრულა კაცთა ხსნისათვის.

— კიდევ! უფალი აღესრულა მოკვდა! გარდაუეული სიტყვა ჰკვახდილისა.

— უფალმა ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინნა, მათმა თქმამ ჰკვაზრგვილთა სიტყვად დასახა ბრძენთა ნათქვამი. აგრეთვე განაქარვებს ღმერთი იესო სიტყვას ცრუს ეშმაკეულის მაჰმადისასა გაჰფანტავს საქმეთა მისთა ჯოჯოხეთურთა.

ესეთმა თქმამ და მეტადრე მის წინ ტყვედ მდგომის სიმშვიდემ ფრიად განარისხა მბრძანებელი, რომლის სიტყვა ყველასათვის შეუმართებელი იყო, ხოლო სურვილი მსწრაფელ ასასრულებელი. უბრძანა მკვეთრად:

— მიჩვენე განძი დაფარული!

— სამღთო ნივთებს დაუსჯელად ვერ შეეხოს უსჯულო, ვით ბალტასარ ვერ...

სიტყვა აღარ დასცალდა აღმსარებელს სჯულისას: განძვინებულის ხანჯალმა გაიპრიალა ჰაერში და დაესვა გუშაგს ეკლესიისას. გაიტანეს. მსწრაფლ მოსპეს კვალიც სისხლისა. გაწმედილი მახვილი კვლავ მიართვა ემირს მუხლზედ დამდგარმა შინაყმამ. ანიშნა მტარვალმა იქვე მდგარ ტყვე ქართველებზედ. წაასხეს. ალგეთი შაიღება სისხლით გაუტეხელ წამებულთა. აბორგავდა ემირი, ჰბდღვნიდა განცოფებული. შიშით ძრწოდა მის გარემო ყველა, გაქვავებულიყვნენ მახლობელნი, ეშინოდათ თქმით თუ მოძრაობით არ მიექციათ თვისზედ მხეცქმნილის თვალი გზნებული: მისი ყურადღება აწ სიკვდილის მოციქული იყო, მედგარივით სწრაფის მოსპობისა. გამოჩნდა ბანაკისაკენ მიმავალი. ისწრაფოდა. ძლეულ ლაშქრის სარდალთაგანი აღმოჩნდა. მიიჭრა ემირთან.

— დაიღუპა მხედრობა ჩვენი!

— როგორ?!

— ფარავნის ტბასთან მოვსწვდით აშოტსა, ვიწროებში. ლომივით გვეკვეთა, მუსრი გაავლო მთელ ჩვენ ლაშქარსა. ისმაილ მოკლულ იქმნა თვით აშოტისაგან. მხოლოდ ღამის სიბნელემ გადაგვარჩინა ამბის მომტანნი და..

— და გამოიქეცი?! და დასთმე ცოცხალმა მაჰმადის დროშის შეგინება?! მოჰკვეთეთ თავი! დაიღრიალა ემირმა და წამოიჭრა. ჯერ არც კი გათავებულიყო მისი სიტყვების ბგერა ჰაერში, რომ გაუფრთხილებელის თავი დაეცა მიწას და ხტომით დაგორდა ფერდობისაკენ. ეს დასაწყისი იყო უკეცურ მრისხანებისა. ბევრი მსხვერპლი შეიწირა ქართველთაგანი, თვით აგარიანთაგანით. მცირედ დაწყნარებულს თუ უზომო მრისხანებით დამაშვრალს შეაპარეს სიტყვა მლიქვნელი:

— ბიზანტიის ჯარი მოესწრო შენივთებულ ომის დროს და მით შეიქმნა შეუძლებელი სვიანად ბრძოლა ჩვენის ლაშქრისათვის.

ამ შეთხზვილმა სიტყვამ მცირედ დააფიქრა ხასან მხეცქმნილი, გონ დაკარგული.

10.

რომ ამბობდნენ, ბიზანტიელთა ჯარი მოვიდაო აშოტის საშველად, მართალი არ იყო. კარგად იცოდნენ ეს თვით მიმთხრობლებმა. საჭირო იყო თავი ემართლებინათ ამ საარაკო დამარცხების შემდეგ და მისთვის ავრცელებდნენ ამისთანა ხმებს. ადვილი შესაძლებელი იყო დაერწმუნებინათ ამაში ემირიც, სხვა სარკინოზნიც, რადგან ბუნებრივი იყო ბიზანტიელთაგან ესეთი ქომაგი, ჰაზრიანიც. მოელოდნენ კიდეც ამ დახმარებას ქართველები. სარკინოზნიც ფიქრობდნენ, ქართველებთან ბრძოლაში პირდაპირ შეჰხვდებოდნენ ბერძნებს.

ისლამის მსწრაფლმა გავრცელებამ წინა აზიაში, ამ ახალი სჯულის ღვარისებურმა დენამ დიდს საგონებელში ჩააგდო მეცლობელნი ბიზანტიისა. მათთვის აუცილებელი შეიქმნა მზღვარი დაედევათ ახალ ძალთა მოზღვავებისათვის, მცირე აზიაში და კავკასიონში უნდა განემტკიცებინათ ბიზანტიელებს თავიანთი საბრძანებელი, იქ დავანებული ხალხთა შემწეობით უნდა ჩაეხერგათ პონტზე მისავალი გზები თუ შავ-ზღვაში ჩააგდებდა სარკინოზი ხომალდს, კონსტანტინოპოლის კარს იდგა იგი უკვე. ამის შესასრულებლად საუკეთესო საშუალება იყო გაემაგრებინათ აქ უკვე არსებული ქრისტიანული სახელმწიფოები, გაეძლიერებინათ ისინი, ფხა აესხათ მათთვის, რომ პირველი ტალღები მოსულის მტრისა ამ სანგრებს შეჰხეთქებოდნენ, მათზედ დაშლილიყვნენ საბერძნეთს აქ უნდა გაემართა პირველი ბრძოლა ბედისწერასავით შეუდრკომლად მსვლელი დროშასათვის უძლეველის ხალიფებისა. ესმოდათ ეს ბიზანტიელთ და თვალს არ აშორებდნენ პატარა საქართველოს, ცდილობდნენ მკლავი გაემტკიცებინათ ქართველთა მეფეებისათვის, რომ ერთგულ მომხრეებად ჰგულებოდათ იგინი ამ საბედისწერო ბრძოლაში. ბაგრატიდთა სამფლობელოს, მართლმადიდებლობის უკანასკნელ ბურჯს აზიაში, უნდა შეჰხეთქებოდნენ სარკინოზთა ტალღები, აქ უნდა გაეწია საბოლოო ბრძოლა ქრისტეს სჯულს შევიწროებულს მაჰმადიანობისათვის მკლავმაგარისა. საქართველო ბჭე იყო მართლმადიდებელის, ბიზანტიისა და თუ გატყდებოდა ეს, შეიმუსრებოდა ბერძენთა მოწინავე ციხე, რკინის კარი შეხსნებოდა ბიზანტიას. ეს იყო მიზეზი, რომ აშოტ კურაპალატმა, როგორც მისმა მამამ ადარნასემაც, ბევრი შემწეობა მიიღო ბიზანტიიდან პირველ ხანშიც თავის მეფობისა და შესძლო მხნედ ბრძოლა აგარიანებთან, სძლია კახეთის ქორიკოსი გრიგოლ, გააერთიანა უდიდესი ნაწილი საქართველოსი.

ამ ბრძოლაში დიდი ღვაწლი დასდო აშოტს მისმა სიძემ აფხაზთა მე-

მბრძანებლისა, წინასწარმეტყველი აზიხისა, წინასწარმეტყველი ნეფერისა".

აქვე შეგხვდებათ წარწერანი: „მომღერალი ამა ქვეყნის მბრძანებლისა", ანუ კიდევ „უდიდესი მომღერალი ფარაონისა" და სხვა.

აქ, ეგვიპეტში მომღერლების ქანდაკებანი სამლოცველოებში იდგმებოდა ხალხის თაყვანსაცემად. აი ფარაონის მომღერლის მერიან-ზუტენის მატურიც; იგი შემკულია სკულპტურული ჩუქურთმებით; მატურზედ სდგას დაჩოქილი მომღერალი, მის უკან სდგანან ორი მომღერალი ქალი და მღერიან სადიდებელ ჰიმნს, რომელიც აქვეა წარწერილი: „მოგვევლინე, როგორადაც ამომავალი მზე, ჩაესვენე და მწუხარებამაც დაისადგურა ჩვენს გულში".

რაღა მოგახსენოთ სპარსეთსა და არაბეთზედ; აქაურ მბრძანებლების მოსასვენებელ ოთახებში მხოლოდ მომღერლებს შეეძლოთ დაუკითხავად შესვლა. ასეთს პატივსა და დიდებაში იმყოფებოდნენ მომღერლები უხსოვარ დროს აღმოსავლეთში.

ქართველ საზოგადოებასაც ჰყავს მომღერლები, მაგრამ იგი ზოგს მათგანს ვერც კი იცნობს, პატივსა და დიდებაზედ კი ნულარაფერს იტყვით, ბევრს მათგანს დიდი გაჭირვება აქვს მაგრამ ვინ არის ხელის ამპყრობი.

აი, თუნდაც სარაჯიშვილი, რომელიც ჩვენ თვალწინ მოღვაწეობს და არა ერთხელ დაუტკბია ქართველი საზოგადობა თავისი ეშხიანი სიმღერით. იგი დღესაც კი დიდს მატერიალურ გაჭირებას განიცდის და იმ დიდ ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც მან გადიტანა ხომ ვიცით ერთი ორად გასაჭირში იქნება.

დღეს სარაჯიშვილის ბენეფისია და აბა ვნახოთ, იცის ქართველმა საზოგადოებამ დაფასება და პატივი თავისი მომღერლისა?

ამას მისი ბენეფისი დაგვანახვებს ნათლად!

ი. კარგარეთელი.

## ბრძანება იუსტიციის მინისტრისა.

**თბილისისა და ქუთაისის ოლქის სასამართლოებისადმი**

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის თებერვლის 8-ის დადგენილებისა, ქუთაისის და თბილისის ოლქის სასამართლოებში წარმოება იმ საქმეებისა, რომლებიც დაიწყება ამა წლის მარტის 1-დან, შემოღებულ იქნას შემდეგის წესით.

1. ქუთაისის სასამართლოში ყველა, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები და თბილისის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეები (განურჩევლად იმისა, რა ენაზე ყოფილ წარმოებული წინასწარი გამოძიება) და აგრეთვევე ის სამოქალაქო საქმეები, სადაც არც მომჩივანი, არც მოპასუხე და არც მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში თბილისის მცხოვრები არ არის, უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე.

2. თბილისის სასამართლოში ის სამოქალაქო საქმეები, სადაც მომჩივანი. ან მოპასუხე ან მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში, თუმცა ქალაქ თბილისის მცხოვრებია, მაგრამ ყველანი ქართველები არიან ან და საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება იღებს საქმეში მონაწილეობას, ყოველი საჩივარი, პასუხი და თხოვნა უნდა შედგენილ იქმნას ქართულ ენაზე და ამავე ენაზე სწარმოებდეს მთელი საქმე.

3. ყველა დანარჩენ სამოქალაქო საქმეებში, სადაც ან მომჩივარნი, ან მოპასუხე, ან მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში ქალაქ ტფილისის მცხოვრებია და თან რომელიმე ამათგანი ქართველი არ არის, ან კერძო იურიდიული პიროვნება ურევია, მომჩივარს და მთხოვნელს ცალმხრივ პროცესში უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი და თხოვნა ქართულ ან რუსულ ენაზე, როგორც ის მოისურვებს, და შემდეგ საქმის მთელი წარმოება თბილისის სასამართლოში უნდა იქმნას ამ საჩივრის ან თხოვნის ენაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მესამე პირთა მოწვევა ან შესვლა პროცესსი, სადაც არ უნდა სცხოვრობდენ და რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, არ სცვლის წინა (1—3) მუხლებში აღნიშნულ საქმის წარმოების წესებზე.

4. ყოველივე საჩივარი ან თხოვნა, რომელიც დაწერილი იქნება წინა მუხლებში მოყვანილ წესის დარღვევით, უნდა დაუბრუნდეს შემტანს.

5. თბილისის სასამართლო პალატაში ყოველი საქმე უნდა სწარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც იგი სწარმოებდა ოლქის სასამართლოში, და იმავე ენაზე უნდა დაწერილ იქმნას სააპელაციო თუ კერძო საჩივარი პალატის სახელზე.

6. საბუთების წარდგენა იმ საქმეებზე, რომელთა წარმოება სავალდებულოა ქართულ ენაზე, შეიძლება როგორც ქართულ ენაზე, ისე რუსულზე.

7. იმ საქმეების გამო, რომლებიც შემოსულია თბილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოს საბრალდებულო ნაწილში, აგრეთვე რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოთა საბრალმდებლო ნაწილში, გარდა სოხუმის ოლქისა, მარტის 1-მდე, და რომელზედაც ბრალდების ოქმი ჯერ არ არის შედგენილი, უკანასკნელი შედგენილ უნდა იქმნას ქართულად, მიუხედავ იმისა, ქართულად არის ნაწარმოები წინასწარი გამოძიება თუ რუსულად, აგრეთვე მთელი შემდეგი წარმოება საქმისა სათანადო სასამართლოში ქართულივე უნდა იყოს.

8. ყველა გამომძიებლები—ზოგიერთ გამონაკლისით თბილისის გუბერნიისათვის, ვისაც ეს სახელდობრ დროებით ნებართული ექნება სამინისტროს მიერ—სახელმწიფო ენაზე უნდა შეუდგნენ საქმის წარმოებას.

9. თბილისის და ქუთაისის ოლქის და საგანგებო სასამართლოებში, აგრეთვე სასამართლო პალატაში და საბრალმდებლო ნაწილში მთელი კანცელარია მარტის 1-დანვე ქართულად უნდა მოეწყოს, რისთვისაც სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს ევალებათ დაუყოვნებლივ სათანადოდ შესცვალონ ხსენებულ დაწესებულებათა კანცელარიების პირადი შემადგენლობა.

იუსტიციის მინისტრი

შ. მესხიშვილი.

## ტელეგრამები

(საქ. დეპ. სააგენტო).

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, თებერვლის 25. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** ლიბავის მიმართულებით გოლდინგემის რაიონში ჩვენმა ჯარმა მაღლობი დაიჭირა. 23 თებერვალს ვალკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა შტეტარი დაიჭარა. კუნგურის მიმართულებით წინსვლას განვაგრძობთ პერმის მიმართულებით, ვოსკრესენსკის აღმოსავლეთით, შეტევას განვაგრძობთ. კუჩლოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა კაზლოვო დაიჭირა და სოფ. ზახაროვსკისკენ წინსვლას განაგრძობს. კუბინის ქარხნის რაიონში ბრძოლით კასტინკო დავიჭირეთ. მოწინააღმდეგე უკან იხევს. ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალები და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ, მტერს ვდევნით.

**№-ს დივიზიის შტაბი.** თებერვლის 25. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა ჩვენებიდან სჩანს, რომ რადგან ჩეხოსლოვაკებს კოლჩაკის დახმარება არ სურთ. ფრონტი დასტოვეს და ციმბირით მინისკენ გაემგზავრენ. ჩეხო-სლოვაკების იარაღის ჩამოსართმევათ ომსკში გაიგზავნა თეთრგვარდიელები.

**№-ის ლატვიის შტაბი.** თებ. 27. ვინდავაში საბჭოთა ყრილობა გაიხსნა. გამოდის საბჭოთა გაზეთები. გაიხსნა მუშათა კლუბი.

**ბერლინი.** თებერვლის 25. შეიდემანის მთავრობა ყოველ გვარ ზომებს იღებს რუსის ოლქების სპარტაკელების წინააღმდეგ.

**ბუდაპეშტი.** თებერვლის 24. ნახშირის ქარხნებში გაფიცვები არ შეწყვეტილა. ამ ჟამად გაფიცულთა რიცხვი 15 ათას აღწევს.

### რეიტერის სააგენ. ცნობა

**საზავო კონფერენციაზე.**

ირკვევა, რომ ვილსონის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ზავის შეკვრა არ დაბრკოლდება. უმაღლეს საბჭოს სხდომაზე დღეს მიიღეს ზომები კონფერენციის მუშაობის დასაჩქარებლათ. სხდომაზე ჯერ ფიქრობენ დააჩქარონ იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც გერმანიას შეეხება, მაგრამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადასწყვიტეს დააჩქარონ აგრეთვე ის საკითხები. რომლებიც შეეხება ავსტრიას, ოსმალეთს და ბულგარეთს. გერმანიის საკითხი ზოგადათ უკვე იყო გადმოცემული „ტაიმს-"ის წინა დეპეშებში, მაგრამ შემდეგ მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩვენ წინანდელ ხელშეკრულებაში ნაჩვენებ ზომების განსახორციელებლათ. ჯერ დადგენილი იყო, რომ წინასწარ ზავის სრული ტექსტის შეტანათ დროებითი ზავის ახალ პირობებში და მოეწერათ მასზე ხელი: დღევანდელი დადგენილების თანახმათ, კი დროებითი ზავის ახალ პირობებზე ჯერ არ მოაწერენ ხელს, ხოლო ამ პირობებს შეიტანენ წინასწარ ზავის ხელშეკრულებაში.

დღევანდელ სხდომაზე დაადგინეს, რომ ზარალის ანაზღაურების, ომის პასუხისმგებლობის ეკონომიურ საზავო შეთანხმების და სხვა საკითხების კომისიებმა თავისი მუშაობა დაასრულონ დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე.

პარიზიდან იუწყებიან რომ 22 თებერვალს გარეშე საქმეთა სამინისტროში სხდომა ჰქონდათ მოკავშირეთა სახელმწიფოს წარმომადგენლებს. სხდომაზე ითათბირეს კომისიების მოქმედებაზე, რომლებსაც დავალებული ქონდა ეკონომიურ, ტერიტორიალური, ფინანსიური და იურიდიული საკითხების განხილვა. მიიღეს გადაწყვეტილება დააჩქარონ კონფერენციის მუშაობა. შემდეგი სხდომა შესდგება ორშაბათს 24 თებერვალს.

კონფერენციაზე მეორეთ აღძრეს გერმანიის ფლოტის საკითხი. მხედველობაში იქნა მიღებული ინგლისის პროექტი, დალუპონ დიდი გერმანიის სამხედრო გემები. ინგლისი მოიგებდა გემების განაწილებით, რადგან მას მეტი ერგებოდა, მაგრამ ინგლისი ფიქრობს, რომ გერმანიასადმი მეტი ზიზღის გამოხატვა, როგორც მისი გემების დალუპვაა, შეუძლებელია. გონებს, როგორც ხალხს და ერს უფრო შერცხვებოდა ამის. წყალქვეშა ნავები კი განაწილდება სხვა და სხვა ერის შორის ნავების მიერ ჩადენილ საზიზღრობის ნიშნათ. ინგლისის პროექტი მოიწონეს. ზოგიერთი პატარა ერი ითხოვს გერმანიის ფლოტი მათ გადასცენ, მაგრამ რადგან განზრახულია საყოველთაო განიარაღება, საეჭვოა, რომ ეს თხოვნა დააკმაყოფილონ.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა აუკრძალეს კლემანსოს მნახველთა მიღება, კლემანსომ მოითხოვა, რომ იუზი, ბალფური და პიშონი დაუშვან მასთან. სამივეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ კლემანსოსთან კონფერენციის მთავარ საკითხებზე. ექიმები სხვა მნახველებს არ უშვებდენ. გუშინ საღამოთ კლემანსოს სიცხემ მოუმატა, რადგან მისი მოთხოვნით მასთან დაუშვეს 50 მნახველი. საერთოთ კლემანსოს მგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თვით კლემანსო ფიქრობს, რომ მომავალ კვირაში მას უკვე შეეძლება კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს.

**ომის საბუთები.**

შვეიცარიის ორ გაზეთს „დემოკრატ"-ის და „რევიუ დე-ლოზან"-ის შორის გამართულმა პოლემიკამ გამოააშკარავა ომის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი საბუთები. შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსთან და განსაკუთრებით სამხედრო სფეროსთან ახლო მდგარმა „რევიუ დე-ლოზან"-მა თებერვლის 19 ნომერში აღიარა, ის ფაქტი, რომ 1914 ივლისის 30 ბერნში პოლკოვნიკ შპრეხენის სახელზე გერმანიის მთავარ-შტაბის მაშინდელ უფროსის გენ. მოლტკესგან მოვიდა დეპეშა, რომელიც ბერლინიდან შემდეგ პირობებში გამოუგზავნიათ: ივლისის 27-ის მე 2—3 დღეს ფედერატიულ საბჭოს წევრმა ჰოფმანმა, როგორც ფიკრობენ, სთხოვა პოლკ. შპრეხენს, რომელიც მეგობრულ განწყობილებაში იყო მოლტკესთან ცდილიყო გაეგო ბერლინის აზრი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ივლისის 30-ის დეპეშის პასუხი იყო ამ შეკითხვაზე. დეპეშის ტექსტი არ გამოუქვეყნებიათ. ამ დეპეშას შინაარსის გაგება ძალიან საინტერესოა, რადგან მაშინ ბერლინში ომს აუცილებლათ სთვლიდენ. ივლისის 29 ღამე გერმანიის მთავარ შტაბის მეთაურნი შეუძლებლათ სთვლიდენ ომის თავიდან აშორებას, ამ დროს კი მოკავშირეთა მინისტრები ზავის შენარჩუნებას სცდილობდენ. ამასთანავე იხსენიებენ, რომ ივლისის 30 შუადღის 1 საათზე გაზ. „ლოკალ ანცაიგერ"-ის სასწრაფო ფურცელში დაბეჭდილი იყო, რომ გერმანიაში მობილიზაცია გამოცხადდა. ეს ცნობა იმავე საათში უარჰყვეს და გაუგებრობის შედეგათ ჩასთვალეს, მაგრამ ფაქტი იყო ის, რომ კამბონმა შესაძლებლათ დაინახა ეცნობებია პარიზში იმ დღესვე, რომ ივლისის 29 საღამოთი გერმანიაში მობილიზაცია გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა რამდენიმე დღით გადაიდო. საინტერესოა, ივლისის 30 დილით ბერნში მიღებული დეპეშა იუწყებოდა თუ არა გერმანიის არმიის მობილიზაციის ამბავს და თუ ხსენებული დეპეშა შეიცავდა ამ ცნობას, მაშინ გერმენია წინააღმდეგი არ უნდა იყოს მისი გამოქვეყნებისა, ვინაიდგან მან განაცხადა, რომ მას სურს გამოარკვიოს, თუ ვინ იყო ომის დამწყები. ათთა საბჭოს სხდომის შემდეგ დანიის მინისტრმა შემდეგი განუცხადა გაზეთ „პტი ჟურნალის" წარმომადგენელს: „მოთხოვნილებებს, რომელიც ახლა წარვადგინე, საფრანგეთის პრინციპების საფუძველი აქვს. პრეცედენტი, რომელზედაც ლაპარაკობდენ, შექმნა ნაპოლეონ III. როცა მან აიძულა სავოის და ნიცის მცხოვრებნი ხმა მიეცათ საფრანგეთთან შეერთებისთვის. შლეზვიგის მცხოვრებთ კვლავ შეუერთებენ დანიას, თუ ისინი ამას მოისურვებენ და გამოხატავენ თავის სურვილს ამიერიდან თავისუფალ ხმის მიცემით. მოკავშირენი ასწორებენ მსოფლიოს რუქას სამართლიანობის და უფლების თანახმათ. დანია მოითხოვს იხელმძღვანელონ 1866 წლის ხელშეკრულობით. საუკეთესო საშუალება, რომლის წინადადება შემიძლია დღეს მივსცე, შემდეგი იქნებოდა: შლეზვიგის მცხოვრებლებმა უმრავლის ხმის მიცემით „ჰო" ან „არათი" გადასწყვიტონ თავისი ბედი. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვითხოვთ, რომ თავისუფალ ხმის მიცემის აუცილებელი პირობები დაცულ იყოს. მე მგონია, რომ ჩემი წინადადება კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს დელეგატებზე.

### ფრანგული პრესა

**მაკედონიის რუმინელები**

რუმინია-მაკედონიის საზოგადოებამ მაკედონიის რუმინელთა სახელით მოკავშირე სახელმწიფოების ელჩებს წარუდგინა წერილი ალბანეთის საკითხზე. წერილში საზოგადოება სთხოვს მოკავშირეთ უზრუნველყოს მაკედონიის რუმინელთა თავისუფალი განვითარება ალბანეთის სახელმწიფოსთან შეერთებით. ვალაქიის და ბიტოლიის ნაწილი, სადაც მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა რუმინელებს შეადგენს, (დამახინჯებულია). წერილში აღნიშნულია, რომ მაკედონიის რუმინელები ვერ განვითარდებიან, თუ ისინი დანაწილებული იქნებიან და გაითქვიფებიან სხვა ხალხში. წერილი აგრეთვე მოაგონებს მოკავშირეთა ელჩებს, რომ მაკედონიის რუმინელთა და ალბანელების შორის მუდამ მეგობრული განწყობილება იყო.

**ბლოკადების მოხსნა ხმელთაშუა ზღვაში**

ხმელთაშუა ზღვაში მოკავშირეთა ფლოტის მთავარ სარდალმა განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს მოხსნას კავალას ბლოკადა, რომელიც 1916 წლის სექტემბრის 18 დაიწყო და აგრეთვე ხმელთაშუა ზღვიდან ბულგარეთის სანაპიროს ბლოკადა, რომელიც 1915 წლის ოქტომბრის 16 დაიწყო მცირე აზიის სანაპიროს დარდანელიახათ. ბლოკადა 1915 წ. ივნისის 6 დაწყებული და რუმინიის და სირიის ბლოკადა, 1915 წ. აგვისტოს 23 გამოცხადებული.

**გენ. სანდერსის სამართალში მიცემა.**

სტამბოლიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მთავარ-სარდალმა დესპერემ უბრძანა გერმანელ გენერალს ფონ სანდერსს, წარსდგეს სასამართლოს წინაშე ომის დროს სირიელებისა და სომხების ამოჟლეტის ბრძანების გამო.

**კ ლ ე მ ა ნ ს ო.**

კლემანსო ინახულა პუანკარემ, ავადმყოფს სავარძელში სძინავს, რადგან ლოგინში წოლის დროს ხველებას აწუხებინებს. მისი მდგომარეობა, დამაკმაყოფილებელია.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ალბანეთის მოთხოვნილება.**

სტამბოლში დაარსდა ალბანური კომიტეტი, რომელიც პროპაგანდას ეწევა ალბანეთის სრულ დამოუკიდებლობისა და 1913 წლის ლონდონის კონფერენციის მიერ დადგენილ საზღვრების გაფართოებისათვის.

კომიტეტი თავის მოთხოვნილებებს ვილსონის საზავო მუხლებზე ამყარებს ამ მიზნით შეადგინეს მემორანდუმი და ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის რწმუნებულებს ჩააბარეს.

**ახალი პარტიები ოსმალეთში.**

ოსმალეთში მრავალი ახალი პარტია აღორძინდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ამას წინედ დაარსდა „მშრომელთა პარტია". გამოცხადდა აგრეთვე ახალი „დემოკრატიული პარტია" რომლის ბელადი იბრაგიმ ბეი იამილ ფაშის კაბინეთის დაცემის შემდეგ რუმინიაში ივლტოდა და სულ ახლა სტამბოლს დაბრუნდა.

**სომხეთის მისსია ლონდონში.**

სომხეთის სამხედრო მისსია გენერალ ტორგომის მეთაურობით ლონდონს ჩავიდა. დელეგაციამ ინახულა ვესტმინსტერიის სააბატო და დაფნის გვირგვინით შეამკო ცნობილ სომხოფილის გლადსტონის საფლავი.

## [illegible]

### დიდი ლიახვის ხეობა

ეს საქართველოს ერთი უმშვენიერესი და უნაყოფიერესი კუთხე ძველი რეჟიმის დროსაც უპატრონოთ იყო მიტოვებული და რუს პრისტავ-ურიადნიკების სათარეშო მეიდანი იყო. აქ კანონიერებას არავითარი პატივის ცემა არ ჰქონდა, ყველა ვინც კი დანაშაულს ჩაიდენდა ამ მოხელეების სასარგებლო იყო, მათ წილი ჰქონდათ ყველაფერში ნაძარცვ - ნაქურდალში თუ რაიმე ხიფათით ჩადენილ ბოროტმოქმედებაში პრისტავ-ურიადნიკები უწილოდ არ რჩებოდნენ. ქურდი, კაცის მკვლელი უბრალო მაჩხუბარი მსწრაფლად დატუსაღებულ იქმნებოდნენ პოლიციის მიერ. მშვიდობიანი მცხოვრებთა სასიამოვნოთ, მაგრამ მეორე-მესამე დღეს დამნაშავეები ისევ სახლში ბრუნდებოდნენ გახარებულები. რაც მშვიდობიან მცხოვრებს აწუხებდა და მომჩივარს შიშის ზარსა სცემდა. ისე აღარავინ გასცემდა ხოლმე დამნაშავეს, და ხშირად თუ რამე მძიმე დანაშაული იყო დამნაშავესთან მორიგები ათავებდნენ საქმეს და დამნაშავე კანონით დაუსჯელი რჩებოდა ახალი ბოროტმოქმედებამდის. ხალხს გული გაუტყდა და აუცრუვდა ადმინისტრაციაზე, დადგა ეს თავისუფლების დრო და ზემოხსენებული მდგომარეობა სასიკეთოთ არ შეიცვლილა, უფრო გაუარესდა. ადამიანის ღირსებას პატივი აეხადა თავისუფალ ბოროტ-მომქმედთაგანთ, რა გინდა რა მოხელე და მოქალაქე იყოს იგი. გახშირდა სხვის ქონების გატაცება, ქურდობა, დაცემა მგზავრებზე და კაცის კვლა. ეს უკანასკნელი დანაშაული საშინელება იყო ხალხის თვალში. კაცის მკვლელს თავის სოფელშიაც ადგილი აღარა ჰქონდა, დევნილი იყო სოფლიდგან და თვისი სვინდისის მხილებისგან, მეზობელი სოფელი ხომ ახლო არ გაიკარებდა კაცის მკვლელს, ცოდოს შემოიტანსო, ახლა კი კაცის მკვლელებს პატივი აქვთ, ისინი თავისუფლად, ამაყად დაბრძანდებიან სოფელ-სოფელ და მომეტებულ შემთხვევაში უცაბედობით მომხდარ კაცის მკვლელობას ეძახიან. აი მაგალითები: ს. ძარწემში ფიდა ჯოლიძემ მოჰკლა გუნდიაშვილმა, უპასუხისმგებლოთ დადის არხეინად. ძარწემში მობილიზაციის დროს ქრისტეშობისთვეში მილიციონერ გუნდიაშვილმა იანვრის ბოლოს უცაბედად მოჰკლა ნიკა დათაშვილი ცხინვალის კომისარმა, რომელმაც კინაღამ თავის-თავიც მოიკლა თურმე, მაგრამ არ დაანებს მას ეს ექმნა. ეს ნიკა დათაშვილი თბილისის სამეურნეო სასწავლებელში იყო კურს დამთავრებული და ეს ერთადერთი გლეხის შვილი იყო ნასწავლი და გამოსადეგი ხალხისთვის ესეც ესეთი დანაკლისი ხვდა ამ ქვეყანას.

კეხვის ყელში ერთი ოსი მოჰკლეს ალბათ უცაბედობის ხასიათი მისცეს და ერთმანეთში მორიგდნენ. მაღლა დოვლენის სოფელ ედირაში, ედირის სკოლის მასწავლებელს ლიზა ყადაგოვას ცულით თავი გაუპო და მოჰკლა კოლა ბეგიზოვმა გიმნაზისტმა, ამ სიმწარისაგან მათე ბეგიზოვმა თავი მოიკლა და ყველა ეს სულ ისე ჩატარდა რომ ხალხს ჰგონია რომ ერთმანეთი ამოხოცონ პასუხისმგებელი არავინ იქნება. უწინ უცაბედად მკვლელს საეკლესიო სასჯელს მაინც მისცემდნენ, ეხლა ესეც არ არის.

სისტემატიურ მგზავრების ძარცვას ს. კეხვის ახლო ვიწრო კლდეებში გასავლელ გზაზე ხომ ბოლო აღარ ელება. ერთხელ მიაგნეს კვალს კეხველებმა დაატუსაღეს მძარცველნი გადასცეს კომისარს, და მეორე დღეს გამოშვებულები ნახეს, გზაზე თავის სახლისკენ მიმავალნი მუქარით დამჭერებზე.

დრო არის ამ კუთხეს მოეპატრონონოს ვისიც ჯერია თორე აქაურ ხალხს ნიკოლოზის დრო ენატრებათ და სწუხან ამ ნაირი თავისუფლების გამო, რადგან მარტო ბოროტის მომქმედნი არიან თავისუფალნი ამ მხარეს. დადიან მრავლად პრავაკატორები რომლებიც დენიკინის ჯარს ამუქრებეე

---

ემ თეოდოსემაც.

შემდეგში, როცა წარმოგზავნეს საქართველოში ხასანი და მასთან ურთვალავი ლაშქარი, აშოტმა აცნობა ეს გარემოება ბერძენთა კეისარს. იმპერატორმა ლეონ მეხუთემ წარმოგზავნა მის საშველად ლაშქარი, მაგრამ დროზედ ვერ მოისწრო მან აშოტს და დამარცხდა მეფე სასტიკად. ვერც ლტოლვილ ქართველებს შეხვდნენ. ბერძენნი არავანის ტბასთან და აშოტამა მხოლოდ საკუთარი ჯარით შესძლო სარკინოზთა დამარცხება. არაბნი მაინც მოდნენ, ბიზანტიელნი მოესწრნენო შველელად. ესვე გაიმართლა თავი იზიდის ძემ ხალიფის წინაშე შემდეგ, როცა აშოტი უძლეველივე მფლობელი შეიქმნა შავშეთ-კლარჯეთისა, ბრძანებელი მორჩმულად მჯდომი.

ეს შემდეგში იყო.

ეხლა, როცა დასცხრა აღტყინებული ისხვა ემირისა და შესძლო მან დაკრებულიყო მომხდარ ამბების შესახებ, უმჯობესადა სცნო მსწრაფლ გაბრუნებინა თბილისისაკენ მიმავალი ები, შეიარაღებული ხალხი ჩაესხა ბილისის დამცველად აღმართულ ბებში. ესეთი იყო მისი პირველი ბრძანება ჰაზრიანი: დასწრა ჯარი ამ ებისაკენ. თითონაც დაბრუნდა ბილისში იმ განზრახვით, რომ საკ ლაშქარი გამოეწყო ხელახლად თითონ გასძღოლოდა მას, რა განედევნა აშოტი შავშეთ-კლარჯეთის არეებიდან, მოესპო იქ ქართველთა ბინა, დაეპყრო ქარ ყელი და იქიდან პირდაპირ სულიყო ბიზანტიაში, რომ დაემ ეს ერთად ერთი დიდი საბრძანე საქრისტიანო, რომელს დაებრ ნა, წამს შეეყენებინა, დიდე წინსვლა ახლის სჯულით აფ ოვანებულ ახალ მებრძოლთა. გან ბრძოლა იქნებოდა ეს მათ შორის, საბედნიეროდ: ან უნდა დაღუპულიყო დიდი ბიზანტია, ან უკუეგდო მას სარკინოზნი, კვლავ მიექცა იგინი არაბეთის სასტიკ უდაბნოებისკენ და დაეკეტნა იქ, ჩაეხშო სამარადისოდ.

კარგად ესმოდათ არაბებს საქართველოს დიდი სამხედრო მნიშვნელობა, გათვალისწინებული ჰქონდათ ეს ხალიფის კარს. ამისთვის იყო, რომ იმთავითვე ბიზანტიასთან ბრძოლა საქართველოში იწყეს მათ. ამ ჰაზრით იყო წარმოვლენილი მურვან ყრუ, ამ ცავალებით მოვლენილიყო ჭეჭემ ასიმი, ამავე გეგმის აღსასრულებლად წარმოეგზავნათ ხასან იზიდის ძე. აზრიანი განზრახვა იყო ეს არაბთათვის, მაგრამ ვერ შესძლეს მისი განხორციელება სარკინოზთ მმართველებმა წინად, ვერ შესძლო მისი ასრულება ვერც იზიდის ძემ; ვერ შესძლო მაშინაც კი, როცა მარტო იბრძოდა აშოტი. მით უფრო ძნელი იყო აგარიანთათვის ამ წადილის მიღწევა შემდეგ, როცა გამაგრდა იგი არტანუჯში, ამ ახალ მიუვალ სავანეში, და როცა ძალას განუმტკიცებდნენ მას ზურგით კერძო ბერძენნი, ხოლო მარცხნივ მისი მოყვარე მეფე აფხაზთა. ადვილი აღარ იყო ეხლა ხასანისათვის ბრძოლა აშოტთან. დიდი მომზადება იყო საჭირო ამ სათრთხილო განზრახვის შესასრულებლად.

მზადებაში შეუგვიანდა ემირს. უსწრო ზამთარმა. ჩამოთოვლა შავშეთ-კლარჯეთის მთა-ველი. ისეც ძნელად სავალი მხარე მთლად მიუვალი შეიქმნა. მეტი გზა არ იყო, გაზაფხულისათვის უნდა ელოდნა, დამარცხების ბოლომა გულშივე ეტრიალებინა. იცოდა კი, რომ ესეთი დაყოვნება შეარყევდა მის იმედთა საფუძვლებს, მის ბოროტ ოცნებას საქართველოს შესახებ: ჭკვიანი და გამჭრიახი აშოტი ფართოდ ისარგებლებდა ამგვარი ხანდაზმით, მედგარ მებრძოლად მოევლინებოდა თვის სამეფოს მტერს.

სწორედ ესეც მოხდა. აშოტმა შესძლო მციოე ხანში აღედგინა, ფერადფერადად აღეყვავებინა ის კუთხე საქართველოსი, რომელი ამიერიდგან შეიქმნა ფუძედ სამშობლოს დიდებისა, სანიმუშო სახედ ქართველთა ერის განვითარებისა, წინამბრძოლ ბურჯად მართლმადიდებლობისა, სიმტკიცედ დიდებულის ბიზანტიისაც. ესე უმზერდნენ ივერიას ბიზანტიის იმპერატორნიც, რომელთ ღვაწლი ძიუძლოდათ ბაგრატიონთა გამეფებაში, რომელნი ყოველთვისა სცდილობდნენ თავიანთ მომხრედა ჰყოლოდათ ქართველთა ტომი. ესეთი თვალით უყურებდნენ კოლხიდას ლეონ მეხუთე და მის შემდეგ მიხეილ მეორე, რომელთ სრულის ხელმწიფურის პატივით ეპირათ დიდი აშოტ კურაპალატი. მის სასახელო ღვაწლს მზირად ადევნებდნენ ისინი თვალს და ჰშველოდნენ შეძლებისაგვარად, რომ არ შერყეულიყო მისი ტახტი, არც სხვა მიმართულება მიელო მის ძალას, ბიზანტიის საწინააღმდეგო რამ მსვლელობა.

ეხლაც, როცა აშოტი განსაცდელში ჩავარდა ხასან იზიდის ძის მოსვლის შემდეგ, იმპერატორი ლეონი ზრუნავდა თავის მომხრე ქართველთა მეფის ბედზედ და დაასკვნა მშველელი მარჯვენა გაეწოდნა მისთვის. გაგზავნა კიდეც ჯარი. მაშველმა ძალამ ვერ მიასწრო აშოტს განსაცდელში, მაგრამ ღმერთი ჰფარავდა მას და სასწაულებრივი გამარჯვება მიანიჭა ძლიერ მტერზე, გალაღებულზე.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

71

[library stamp]

ხალხს, მეორენი ბოლშევიკების ჯარს მესამენი „ანგლიჩანებს“ ამუქრებენ და ხალხი მოუსვენარ მდგომარეობაშია, პატრონს ნატრობს.

დამფუძნებელ კრების არჩევნები გათავდა. ნომერ პირველს არავინ შემცილებელი არა ჰყავდა ამ ხეობაში, მაგრამ მაინც დიდი შიში ჰქონდათ პირველებს მეორე ნომრისა, თუმცა იციან რომ სულ ორიოდ კაცი მისცემდა მეორე ნომერს და ისიც კი გამოარჩიეს ს. პჩბეთში და გააფრთხილეს, „ჩვენ გავიგეთ, ამხანაგო რომ შენ რწმენას ულალატე და ახლა მეორე ნომერს აძლევ ხმასო, ეს არ ჰქნაო, და შენ ძმასაც უთხარ არც იმან უღალატოს პირველ ნომერსო. საარჩევნო ხმის ყულაბები სხვა და სხვა სოფლებში დადგეს. ამომრჩევი კომისიები სულ პირველ ნუმრელები იყვნენ. მათ ოჯახებში წინა დღეს და საღამოს პირველი ნომრის სიები დაურიგეს უწყებების მაგიერ და დაარიგეს ხვალ ესენი მოიტანეთ, კანვერტში ჩასდეთ და ყუთში ჩააგდეთო. ეს ერთი კაცი სრულიად გარეშე ამორჩევის საქმიდგან, იჯდა კონვერტებთან და თანაც უწყობდა სიებს № 1. იყვნენ საერთო ამომრჩევლების სიიდან გამოტოვებული პირნიც, და კონვერტები კი მოჰქონდათ და ჰყრიდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ ხეობაში ოსებმა არ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა. მან ზოგი ერთი ქართველებიც მოჰყვნენ, ჩვენ ბოლშევიკები ვართო. არჩევნის ადგილში სხვა პარტიების ნომრები ან ოროლი ცალი იყო. მეორე ნომრისა ჯერ სულ არ იყო, და მერე რომ ერთმა თუ ორმა მოითხოვა დაჟინებით, მაშინ გამოაჩინეს ორი ცალი რუსულად დაბეჭდილი.

ახალციხის საჭიროებისთვის ცხინვალ ქვეით სოფლებში ჯარისკაცები წაასხეს, ხოლო ზევით კი 17 თებერვლამდისაც არაფერი ამბავი იყო.

სიძვირე დღე და დღე იზრდება. ზამთარმა სიმშრალით გაიარა თებერვლის ათამდის, მერე კი დიდი თოვლიც მოვიდა, რაც სასარგებლოა მოსავლისათვის. მოვიდნენ ქალაქიდგან ვაჭრები და ოსურ კართოფილს ხარბათ ყიდულობენ. ფუთში აძლევენ— 40—45 მანათს. კვერცხი 80 კ. ერბო 20 მან. ყველი, რომელიც ამ სამი თვის წინათ 200—250 მანათათ იყიდებოდა, ეხლა 450 და მეტი მანეთად ღირს, ურიებმა უკვე ნელ-ნელა საქონელი შემოზიდეს სოფელში, როგორც ფორჩა ისე წვრილმანი და ძვირფასად ჰყიდიან სოფლებში.

—

## სამეგრელო.

**დაბა აბაშა.** დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომპანია დამთავრებულად ჩაითვლება აბაშის რაიონში. არჩევნების წარმოების დროს დიდ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ჩვენი პარტიის საწინააღმდეგოდ, ადგილობრივი ს. დ. პარტიის ბელადები ათასნაირ ხერხსა და დემაგოგიას ძიმართავდენ ხოლმე, სხვათა შორის, აბაშის კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჩვენს პროპაგანდისტს მოუგონეს ვითომ ის დიდი მემამულის (ყოფილი) შვილი ყოფილიყოს და ეხლა მამას მიტომ გამოეგზავნოს, რომ პარტიული მუშაობით და მოღვაწეობით ხელი შეეწყო ისეთი წეს-წყობილების დამყარებისათვის, რომელიც ვითომდა მის მამულს დაუბრუნებდა. ყველა მიხვდა რომ ეს აშკარა ტყუილი იყო. მიუხედავად ჭორების და ყოველ ღონის ძიების ძიღებისა, ჩვენს საწინააღმდეგოდ, მაინც ვერ შესძლეს ჩვენი ვნება და ჩვენც შეძლების და გვარად ვმუშაობდით. მოკლე ხანში დ. აბაშის კომიტეტის ინიციატორობით დ. სუჯუნაში დაარსებულ იქნა კომიტეტი, და თითქმის ყველა სოფლებში დავგზავნეთ პროპაგანდისტები ხალხი დიდის სიამოვნებით გვისმენდა ხშირად წყალს ამღვრევდენ ს. დემ. აგენტები და ლობე-ყორეს მოდებით მოყვებოდენ ერთ ჩხავილს. მაგრამ ზოგიერთი შეგნებული გლეხების მოთხოვნით ჩაჩუმდებოდენ. ხშირად აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდენ ჩვენი პროპაგანდისტების წინააღმდეგ ზოგიერთ სოფლის მწერალ-კომისრებს მაგ. დაბა სუჯუნაში და მათ მიეშველა ადგილობრივი მოინტელიგენტე პირები, მაგრამ დაჩუმდენ მის შემდეგ, რაც ერთმა გლეხმა წამოიძახა „ვიცი-ვიცი რა გაწუხებთ ჩემო სოციალისტებო“. ასეთი იყო აბაშის კომიტეტის საქმიანობა რამაც ნაყოფიც გამოიღო რუსეთის დამფ. კრების არჩევნების დროს მთელი აბაშის რაიონიდან ხმა მოგვცა მხოლოდ 28 ამომრჩეველმა, და ეხლანდელი ნუსხა კი შემდეგს გვაუბნება დ. აბაშაში ხმა მოგვცა 129 ამომრჩეველმა, ს. აბაშაში 53-მა, ს. მაცხოვრო-კარში 18-მა, ს. სოჩხოში 25-მა ს. ეწერმა 46-მა და სხვა. სჩანს 60 პროც.-ით მეტი ხმა მივიღეთ ამ რაიონში ვინემ შარშან და ეს იმის დამამტკიცებელია, მომავალი ელის ჩვენს პარტიას, თუ კი მეტის ენერგიით გავაორკეცებთ მუშაობას.

**გ. გლეხი:**

—

## ზემო იმერეთი.

ფულის ზომაზედ მეტ საშოვარმა შეარყია ვაჭრობა-მრეწველობის წესი ჩვენში იგი ყველას ხელში გადავიდა და ამ მიმდინარეობას ვეღარ აჩერებს ვერავითარი კოოპერატიული შეერთება, სანოვაგის სალაროები და კავშირები.—ასეთ დაწესებულებებს სათავეში მოხვდნენ მეტი წილი უცოდინარი საქმეს დაშორებული პირები მათ ვერ შეძლეს საქმის გაძღოლა და ამით ხალხს ნდობა ეკარგება მათდამი. აქ საქმის შეფერხებას კი არა დაღუპვას წავაწყდებით, რადგან ამას ჩვენ ვხედავთ ადგილობრივ მზგავს დაწესებულებებში—ყველა ამის მიზეზი კლასთა ბრძოლაზეა ამოცენებული და თუ განვლილ რევოლიუციის დროს თვალს გადავავლებთ ადვილი მისახვედრია თუ ვის ხელშია მცირე გამონაკლისით ჩვენი ბედი.—

ამ სახით ჩვენს ხალხს ამღებ-მიმცემლობაში ფართე სარბიელი მიეცა იგიც კერძო ცხოვრების გაუმჯობესობისათვის ფულის საშოვრად გავიდა და დღეს ჩვენს ბაზარს მრავალი აჭრელებული საქონელი ამშვენებს—ამ ნაირად და ზემოდ მოყვანილ მიზეზისა გამო ხალხი შეერთებული ძალით ვაჭრობას გაუფრთხა და საზოგადო საქმე ინგრევა და თუ საზოგადო საქმე ინგრევა და თუ საზოგადო საქმეს მტკიცე ნიადაგი აკლია კერძო საქმეც ვერ აღორძინდება უეჭველია. მაგალითების მოტანა თუ რა ზარალი მოგვიტანა ასეთი ხალხოსნურმა ვაჭრობამ საჭირო არ არის. მხოლოთ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციო მკითხველის მაზეთ, რომ ამას მოჰყვა ავადმყოფობა „ისპანკა“ რამაც მუსრი გაავლო ხალხს და ახლა კი შავი სახადი შეგვძინა ეს ავადმყოფობა მოედვა ხალხს. რომელიც ნაცვამ ტანსაცმელებს მოყვება იგი შავად ყრის ზოგს ტანზედ ყვავილის ნაირად—და ამ ნაირს ავად მყოფობას, ხომ ჩვენი ხალხი ბატონებს უწოდებს კიდევ და საუნჯობესოთ რაცხს ავადმყოფის დედათ სოფიოს აკითხვიოს, მომბოდიშეთ ვინმე მოიწვიო და ზედ ონისიმეს წითლად შეღებილი წყალი ასვას. მიუხედავათ მისა რომ შეძლება ხელს უწყობს ექიმი მიიწვიოს და იცის კიდეც თუ რა საშუალება შეუძლია ამოუჩინოს ექიმმა ავადმყოფს.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მატერალური ძხრით საზოგადოებას არას დროს ამ ახლო წასულში ისე არ უგრძვნია თავი როგორც დღეს გრძნობს, მას ფული ბლომად აქვს „ძირს რომ ეგდოს მანეთიანს არ ავიღებო“ ამბობს ჩვენი გლეხი, მოსავალმაც ხელი შეუწყო წასულ წელს, მაგრამ როგორ მოიხმაროს ეს შეძენილი სიმდიდრე მან არ იცის—მართალია მამაკაცები იშენებენ სახლებს იფარგვლენ მიდამოებს და დედაკაცებმა გაიდგეს საფეიქრობი, საქსოვ-სართავი ხელსაწყოები, მაგრამ ამას არ ეტყობა არავითარი გაუმჯობესება მეურნების მხრით, როგორც ამას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ქვემო იმერეთათ ან გურიაში, სიდანაც შემოტანილი საქონელი გაცილებით უმჯობესია ადგილობრივ დადებულ საქოხელზედ. ამ მხრით ჩვენი კუთხე ძალზედ ჩამორჩენილია და საჭიროებს დახელოვნებულ მცოდნე პირებს და არა ისეთებს როგორებსაც მრავლად წააწყდებით ჩვენკენ მოდებულს, რომელნიც გაიძახიან „ჩვენს ნომერს გაუთეთრეთ კენჭიო“.

წესიერი არჩევნები კულტურულ ქვეყნებში არ ხდება და ჩვენში კი საუკუნოები გაივლის. რომ წესი არ დამყარდება თუ ყოველ თავის ამის დაგვარად მოხდა—ჩვენმა გლეხმა იცის, რომ ყველა პარტია მისი პატრონია და პარტიათა შორის განხეთქილება აფთხობს. გრძნობს რომ თუ პარტიებს ერთ მანეთში ნდობა არ აქვს მეც ის დამღუპავს რომელსაც ხმას მივცემო და აკი მართლაც გაცილებით ცოტამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში რასაც ხელს უწყობდა ცუდი ამინდები და მეტად აჩქარებული ტემპით მომხდარი კენჭის ყრა ხალხი ისევ გაურკვეველი მოხვდა არჩევნებს ან კი როგორ გაერკვევა მაშინ, როცა შეძლებული პარტია ეროვნულ დემოკრატებს 20 წამს უთმობდა სალაპარაკოთ და თითონ ერთი დღე არ ყოფნიდა. თუ რავდენად მგზავსიერი არჩევნები იყო ამას ქალაქი ჭიათურის ყუთის ცხრილი იძლევა: 2900 ამომრჩეველთაგან მიიღო მონაწილეობა 675-მა. ასე რომ საქალაქო არჩევნების დროს 260 ხმით ნაკლები ეს ხმები კი იყვნენ მაშინ ძალდატანებით მოყვანილი მუშები, როგორც გაზეთი საქართველოს № 23 გადმოგვცემთ— რომელი ხმებიც მთელი თავის შემდგენლობით დააკლდა 31 სოციალისტ-რევოლიუციის და 250 სოციალ-დემოკრატებს; რომელთაც ამ არჩევნებში მიიღეს: № 1—439; № 2—120 № 3—44; № 5—55; № 9—12 და № 11 10.

**გალ. ქავთარაძე.**

## ზოგი რამ

შარშან, როდესაც ოსმალებმა ბათომი აიღეს, ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი გერასიმ სიმონიანცი იქ მოჰყვა უცაბედად, შემდეგში მაინც მოახერხა გამოქცევა. ჩვენს მთავრობას წარუდგინა სია იმ ნივთებისა, რომლებიც მას თუ სხვას, ეს კარგად ვერ გავიგეთ, წინადვე გაეგზავნა ქუთაისში. მთავრობამ ცირკულიარულად მადლობა გამოუცხადა თითქმის ერთ მილიონ მანეთის ნივთეულობის გადარჩენისათვის და ბძანება გასცა სიმონიანცი საქართველოს ერთგულობისათვის უადგილოდ არ დარჩეს და დასტოვეს იგი ფოსტა-ტელ. სამმართველოში.

მერე ბათომიდან ოსმალები რო წავიდნენ და ინგლისელები რო ჩადგნენ, ჩვენმა მთავრობამ ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სამუშაოდ მთელი რაზმი გაგზავნა სიმონიანცის წინამძღოლობით და ჩვენი რაზმი ამ დღეებში უკანვე დაგვიბრუნდა მხოლოდ უსიმონიანცოთ. დაბრუნებულ ქართველ მოსამსახურეთა ბადლად სულ რუსები და სომხები ჩაუყენებიათ.

აფსუს მადლობავ! განა იმიტომ აქეს ადიდეს და იმიტომ დაუკრეს ტაში ჩვენმა მინისტრებმა, რომ მას ასე მალე შეექცია ჩვენთვის ზურგი. თუ ჩვენები დაბრუნდნენ, ისიც უნდა წამოსულიყო. მაგრამ ის იმ ხალხს ეკუთვნის, რომელთა გვარებიც თავდება „იანცით“ და ეს ხალხი ხომ დიდი ხანია ჩვენი მტერია და მათ ვერავითარი სიკეთე საქართველომ ვერ დაანახვა.

* *

ამას წინად ერთი პატივცემული პირი მოკლედ აღწერდა გაზეთში თავის მოგზაურობას ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერში. ბევრი ქება და განცვიფრება იყო მოთავსებული ამ წერილში. მოსწონდა ძველი მონასტერი, საფლავი წმ. ნინოსი და სხვა... ხოლო ის კი არა ჰქონდა მოხსენებული თუ რა მიზეზით არის გამოსახული საკურთხევლის პირდაპირ მარცხენა სვეტზედ მთელი თავის სიმაღლით და თეთრი შარვლით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი. ნუ თუ ის წმიდანებშია ჩათვლილი? ან ვინ გამოაცხადა იგი წმიდანად და რა სასწაულ მოქმედებისათვის? ჩვენ ეს არსად არც წაგვიკითხავს და არც გაგვიგონია.

მას ადგილი არა აქვს წმიდათა შორის და ამიტომ მისი პორტრეტი უნდა წაიშალოს წმ. ტაძრის კედლიდან; თუ იმისთანა პირებს მოვძებნით წმიდათა შორის დასახატად, დარწმუნებული ვართ, ბევრი მოიძებნებიან და მაშინ არამც თუ წმიდა ნინოს ტაძრის კედლები, მათი პორტრეტები ყაზარმების კედლებზედაც ვერ დაეტევა.

**მათე.**

## ღვინის სიძვირის მიზეზები.

ღვინოზე დადებული ბაჟი ჩვენი რესპუბლიკის მთავარი შემოსავალია.

უნდა ითქვას, რომ დიდი გადასახადი ადევს ღვინოს. მხედველობაში მისაღები არ არი სააქციზო გადასახადი, მაგრამ ქალაქის თვითმართველობა თავის უთავბოლო ხარჯებს თითქმის ღვინით ასწორებს. ვინც ჩახედული არ არის ამ საქმეში, ის სამართლიანად მსჯელობს ღვინის სიძვირეზე, მაგრამ ვინც ახლოს დგას ამ საქმესთან, იმისთვის კი ადვილი წარმოსადგენია თუ რად არის ძვირი ღვინო და ვინ არის ამის მიზეზი. მაგ. გსურთ ღვინის შემოტანა თბილისში: პირველად უნდა მიმართოთ ქალაქის თვითმართველობის ღვინის განყოფილებას. როცა იქნება ეღირსებით ნებართვას, რომ ამა და ამ სადგურიდან ნება გაქვს შემოიტანოთ თბილისში ამდენი და ამდენი ღვინო, მხოლოდ თვითოულ ცარიელ კასრზე უნდა გადიხადო ქალაქის სასარგებლოდ სამი მანეთი. აღნიშნულ სადგურზე თქვენი ღვინო რამოდენიმე კვირა დარჩება. დიდი ვაი ვაგლახით მოიტანე თბილისის სადგურზე, ისევ თხოვნით უნდა მიმართოთ ქალაქის თვითმართველობას დუბლიკატზე წაგიწეროს, რომ სადგურიდან ღვინო დაგანებონ, მაგრამ სანამ დუბლიკატზე ხელს წაგიწერდენ ქალაქის უძირო კასაში თვითეულ ვედროზე 4 მ. 80 კ. უნდა შეიტანო. ხშირად ხდება რომ ღვინო სადგურის საწყობში ჰყრია და დუბლიკატები კი თვითმართველობის ღვინის განყოფილებაში და ემუდარები, რომ ხელი მოგიწერონ, რადგან რამდენი აგვიანდება ღვინოს სადგურის საწყობში იმდენი შესანახის ქირას გახდევინებენ და ღვინოსაც აკლდება. თუ ეღირსე თვითმართველობიდან დუბლიკატების გამოტანას მერე სააქციზო სამართველოში უნდა წახვიდე, რადგან იმათაც უნდა მოგიწერონ ხელი, რომ ღვინო დაგანებონ სადგურიდან. იქაც ახდევინებენ ვედროზე 4 მ. 80 კ. მაგრამ ბანდეროლების სახით: კიდევ კარგი, რომ სააქციზო სამართველოში მაშინვე განთავისუფლებენ. თორემ თუ იმდენხანს გაგაჩერეს, როგორც თვითმართველობაში, მაშინ თუ რამე გადარჩა ღვინოს ისიც ძმრად იქცევა, სანამ საკუთარ საწყობში შეიტანდე. სააქციზო სამართველომდე სადგურზე რკინის გზა კი თავისას იღებს.

სადგურის კასასთან ქალაქის თვითმართველობას ყავს კაცი, რომელიც გახდევინებს კიდევ ქალაქის სასარგებლოთ ათ შაურს. რომ დაიხსნი ამ საცოდავ ღვინოს ამდენი სვავებიდან ეხლა უნდა ჩაუვარდე ხელში მედროგეებს და მუშებს.

ყველა ამის შემდეგ, რასაკვირელია ღვინო ძვირი იქნება. მესმის სააქციზო სამართველოს გადასახადი, მაგრამ ამ ქალაქის ათასნაირი გადასახადი რა შუაშია ღვინოზე? განა სხვა სახით ცოტა გადასახადს ვიხდით? მე მგონია ყველა ზემო ჩამოთვლილი ფაქტები ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა იცის, და თუ არ იცის ვთხოვთ მიიღოს ზომები, რომ გაგვანთავისუფლოს ქალაქის თვითმართველობის უკანონო გადასახადიდან და საშუალება მოგვეცეს საქმე გვქონდეს ერთ დაწესებულებასთან და ერთი დაწესებულება არის სააქციზო სამმართველო. ყოველ შემთხვევაში ბ. მინისტრი უნდა ეცადოს, რომ სათანადო ყურადღება მოგვაქციონ და ამით საშუალება მოგვეცეს ეს აუტანელი ბაჟი ღვინოზე შემოკლდეს.

**მიუდგომელი**

## თეატრი და მუსიკა

**სამუსიკო-სალიტერატურო საღამო.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ, რომელიც კვირას, თებერვლის 23, ქართულ კლუბში გაიმართა, შინაარსიანი, მაღალ მუსიკალური და საყურადღებო იყო. იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა „საქართველო სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება“, რომელშიაც დაასურათა ქართველ-სომხთა ურთიერთობა ომამდე, ომის დასაწყისი, ბორჩალოს ომიანობა, ქართველი ხალხის აღფრთოვანებით გამოსვლა ომში. ქართველი ვაჟკაცობა და ამ ომის გმირები. ბორჩალო ისტორიული და ახლანდელი, იქაური მოსახლეობა; ისტორიულ-ხელოვნური ნაშთები; რა გზას უნდა დავადგეთ საქართველოს სხვა და სხვა ერის გასაერთიანებლად, ძველი და ახალი ღმერთები, ტაძრები საეკლესიო და ტაძრები ხელოვნებისა ბორჩალოში, ხელოვნების დღესასწაული და სხ. მომხსენებელი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. მეორე განყოფილებაში საუცხოვოდ იმღერა ვ. ლორთქიფანიძემ, საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს ლ. მეტრეველმა და ი. გრიშაშვილმა. მესამე განყოფილებაში იმღერეს ივ. ინაშვილმა, ბახუტაშვილი-შულგინისამ და ვანო სარაჯიშვილმა, რომელნიც ხალხმა რამდენიმეჯერ გამოიწვია. როიალს უკრავდენ ანდრონიკაშვილის ასული და ქ-ნი ნემეტი. მესამე განყოფილებაში გაიმართა ქართული ბალეტი. საუცხოოდ იცეკვეს დაჯილდოებულმა ელო ანდრონიკაშვილმა (დავლური) და ალბერტმა. ამავე განყოფილებაში იმღერა ქნ. მარიამ თარხნიშვილისამ. საღამო ღამის 2 საათამდე გასტანა.

**დამსწრე.**

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.
**თბილისსა და მცხეთის შუა**
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.
**მცხეთიდან მოდის**
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მებრაზიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 24—1

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

**ბეჟანიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

**ექიმ**

**ა. ვ. ლევენშტეინისა**

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.
(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—3

**წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო**

**ვლადიმერ მატბერაშვილისა**

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

**ზედმიწევნით წესიერად**

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

**მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114 11 პატივისცემით **ვლ. მატბერაშვილი.**

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

**„საქართველო“**

**1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.**

**გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა № 5,) (ქართული ქარვასლა)
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 7
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე**